



**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპა თფით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანტელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საზღვარ-გარეთის ქუჩაზე, № ტელეფონი № 734.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисть, Редакция. «КВАЛИ».

შინაარსი; რუდოლფ ვირხოვი, ექიმისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—გერუსანდრეციები.—მანწაწადას საფლავზე, ლექია ბეგლარისა.—კომპოზიტორი, მთხ. სკიტალეცის თარგ. ი.—ელისა.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—წერილი ოზურგეთიდან, იუბიტირისა.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტისა.—მეფე ვახტანგ მე-VI კანონები და ქართული ქაღი, ა. ჩხენკელისა—თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი შოკია, ი. კომაროვლისა.—ლიტერატურა და ეკონომიური ზიარება.—წერილი რედაქციის მიმართ, ბ. ჩხაკვიშვილისა.—განცხადება.

„კვალის“ რედაქცია გადავიდა საზღვარის ქუჩაზე, რევაზოვის სახლი № 35.

**რ უ დ ო ლ ფ ვ ი რ ხ ო ვ ი.**

**ნეკრდოღვი.**

25 აგვისტოს დღეებში ფრიათ სამწუხარო ამბავი გვაუწყა, ბერლინში გადაიკვალა სახელგანთქმული დიდებული პატოლოგი რუდოლფ ვირხოვი, რომელიც ითვლება „ცელსიარულ პატოლოგიის“ მამათ, შემქმნელათ იმ მეცნიერებისა, რომელზედაც დაფუძნებულია წარსული საუკუნის მეორე ნახევრის მთელი საექიმო ცოდნა. შარშან ბერლინმა დიდებულათ იღვესასწაულა 80 წლის იუბილვი მცხოვანის ვირხოვისა და ამ დღესასწაულს აღტაცებული ბანი მიცეს ბერლინიდან ცხრა მთას იქით გადაღუბულმა ტასმანიის კუნძულებმა, ახალმა ზელანდიამ და ავსტრალიამ. ასეთი სახელგანთქმული და ცნობილი იყო დიდებული მოხუცი!.. ვირხოვის იუბილვი მარტო ბერლინს არ უღვესასწაულნია, —იგი იღვესასწაულეს ყოველგან, მთელ ქვეყანაზე, სადაც კი განათლებას შეუშუქებია, ვინაიდან ვირხოვი იყო მატარებელი იმ ჩირაღდნისა, რომლის სინათლესაც მიღვედა კაცობრიობა 50 წლის განმავლობაში!

საკვირველია რომ წელთა სიმრავლემ ვერ დაძლია ვირხოვის შრომის-მოყვარეობა და შემოქმედებითი ნიჭი. მისი ყველა ნამუშევარი ღრმით მოფიქრებული და შორ გამჭვრეტელია. განსაკვირებელია, აგრეთვე ის მოვლენაც, რომ ვირხოვს თანამედროვე საექიმო მეცნიერების არც ერთი დარგი არ დაუტოვებია უყურადღებოთ. არ ყოფილა ისეთი საკითხი მედიცინაში, რომელსაც არ შეხებოდეს დიდებული ვირხოვი, არ განეხილოს იგი დიდის დაკვირვებით და ყველაზე უმაღლეს გამოაქვეყნებინოს. ბევრი მისი ნააზრი მარტო მომავალში დამუშავდება, რადგანაც მოუტლელლობის გამო ვირხოვი მხოლოდ გაკვრით არკვედა გენიალურ აზრებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ. მაგალითათ, ვერ ისევ


1852 წელს ვირხოვმა გამოსთქვა ის აზრი, რომ კუს სნებიან სიმსენეს გადამდები თვისება აქვსო და მხოლოდ ნახევარ საუკუნის შემდეგ დაუჯერეს მას, მხოლოდ 50 წლის შემდეგ განმტკიცდა ეს აზრი ვირხოვმა საკვირვლათ ბევრი იშრომა და იშრომა ნაყოფიერათაც.

1847 წ. დაარსა რა თავისი მეგობრის რენგარდის დახმარებით საექიმო ორგანო „არხივი პათოლოგიურ ანატომიისა, ფიზიოლოგიისა და კლინიკურის მედიცინისა“, ვირხოვს უკანასკნელ დრომდის კალამი ხელიდან არ დაუგდია და ყველა თვის გამოკვლევათ ამ ჟურნალში ათავსებდა. სახელი და პატივისცემა ვირხოვის ჟურნალისადმი დღითი დღე მატულობდა.

ვირხოვი არ იყო ცნობილი, როგორც მარტო დიდებული პატოლოგი; რეი სახელ-განთქმულ ანტროპოლოგი პოლიტიკოსი და საზოგადოებრივი მოღვაწე იყო—(როგორც ბერლინის საბჭოს ხ. ი. სანი). ზუნებამ უხვათ დაჯილდოვა იგი. ბენდიერათ და ხმა შეწყობილის ჰარმონიით განვლო მისმა სიცოცხლემ კაცობრიობის სასარგებლოთ.

ვირხოვის ცხოვრების სავსებით დასახასიათებლათ მთელი ტომები უნდა დაიწეროს, რასაც იმედია შეასრულებენ მისი მადლიერი მოწაფენი; ჩვენ აქ მოვიხსენიებთ მის ნამუშევრის იმ მხარეს, რომელიც შეეხება პატოლოგიას, ე. ი., მოძღვრებას ავთამყოფ ორგანიზმის შესახებ.

ვირხოვი დაიბადა 1821 წლის 13 ოქტომბერს პომერანიის ერთ პატარა და მიყრუებულ ქალაქ შიფელბენში. აქაურ საშუალო სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ, იგი ბერლინს გაემგზავრა და საექიმო ფაკულტეტზე შევიდა, სწავლის დასრულების შემდეგ ვირხოვი დანიშნეს ამავე უნივერსიტეტის ჯერ ექიმის თანაშემწეთ, მერე ასისტენტათ და პროფექტორათ Charite-ში. ამ თანამდებობათა მიღებად დიდი მასალა მიცა ვირხოვს პატოლოგო-ანატომიურ გამოკვლევისათვის; მაგრამ 48—49 წლებში ვირხოვს უნდა შეეჩერებია მუშაობა ბერლინში, რადგანაც იგი გაციტაც საფრანგეთის მოძრაობამ! თავისი თავი დემოკრატიის მომხრეთ



გამოაცხადა, რისთვისაც იგი თანამდებობიდან გადააყენეს. თანამდებობიდან დათხოვნილი ვირხოვი იმავე წუთში ვიურც-ბურგში მიიწვიეს პროფესორათ.

საექიმო საბჭოს შუამდგომლობის გამო ვირხოვი ისევ დააბრუნეს ბერლინში 1856 წელს, სადაც მას მისცეს ხარისხი ორდინარულ პროფესორისა და მისთვის საგანგებოთ და-არსებულ საპატოლოგო-ანატომიურ ინსტიტუტის დირექტორათ დანიშნეს. ვირხოვი მაშინ 35 წლისა იყო. ჯერ ისევ ვიურც-ბურგში ყოფნის დროს ვირხოვმა უკვე შექმნა მთელი შკოლა და თავის მოწაფეებთან ერთად წელსეა ძირს უთხრიდა ძველ საექიმო მოძღვრებებს, ნამეტნავათ მოძღვრებას ადამიანის ორგანიზმის დავათმყოფების შესახებ. ძველი საპატოლოგო მოძღვრება, ვიდრე იმას ვირხოვი წესტარს გაუტარებდა, შეცდომილი ეგონათ. თავის დროზე სახელგანთქმულ და ნიჭიერ პროფ. როკაშინსკის ავტორიტეტს ყველანი დაემონებინა და ყველა ქედს იხრიდა ამ ავტორიტეტის წინაშე, ხოლო თუ ვისმეს ეჭვი ჰქონდა როკაშინსკის თეორიაზე წინააღმდეგობას ვერ ბედავდა.

ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი ვიცით, რომ შემცდარი აზრი რომელიმე დიდის ავტორიტეტისა ხელს უშლის ნაკლებ ავტორიტეტებს თავისი აზრი გამოსთქვან ხოლმე. ასეთი იყო, მაგალითათ, შემცდარი აზრი თვითნებითი ჩასახვის (самопроизвольное зарождение) შესახებ, პასტერის მიერ დარღვეულია ის შემცდარი აზრი, რომელიც მხოლოდ იმიტომ შეფობდა, რომ მას მხარს აძლევდა ცნობილი ავტორიტეტი ლაბანა.

ასე შემცდარათ უყურებდენ სიმსივნეთა თეორიასაც და სიმსივნეთა მიკრობიულ ხასიათი ფიქრათაც არ მოსვლიათ, იმიტომ რომ პროფესორი კანგეილი თავის ძლიერის ავტორიტეტით ყველას იმონებდა და 35 წლით უკან დაწია ახალ გამოკვლევის საქმე.

ვირხოვი იძულებული შეიქნა დაენგრია ძველი საფუძველი თითქმის მთელის საექიმო მეცნიერებისა, იმიტომ რომ საერთო ზატოლვა ანუ ფიზიოლოგია ავათმყოფის ორგანიზმისა ქვაკუთხედი მთელის საექიმოებისა.

რაში გამოიხატება ის ცვლილება, რომელიც ვირხოვმა პატოლოგიაში მოახდინა?

ვირხოვი შეიქნა მამათ ვგრეთ წოდებულ „ცენტრალურ-ზატოლვას“. ჩენ სუყველანი ჯერ ისევ ვსწავლობდით, როდესაც ვირხოვის თეორიამ მაგრათ მოიკიდა ფეხი და ნათლათ განმარტავდა, რომ ავათმყოფური პროცესები ორგანიზმის ასოებსა და „ქსოვილებში“ შედგევა უჯრედების არა ნორმალურ მოქმედებათა, ვინაიდან უჯრედები შეადგენენ ორგანიზმის ვლემენტარულ ნაწილსა.

„უმთავრესს საფუძველს ადამიანის სიცოცხლისა და იმ ცვლილებათა რომლებიც ორგანიზმის ასოებსა და ქსოვილებში ხდება (ავათმყოფური ცვლილება იქნება იგი თუ ნორმალური) შეადგენს ალტყინება ორგანიზმის უჯრედებისაო“. თქვა ვირხოვმა 1859 წ. („თხულება ვირხოვისა: მოძღვრება ცელმოლიარულ პატოლოგიის შესახებ, რომელიც დაფუძნებულია ფიზიოლოგიასა და ქსოვილების პატოლოგიაზე“).

თავის დროზე ასეთი შეხედულება ძალიან ეუცხრავათ, რადგანაც ძველი თეორია ყოველგვარ ავათმყოფურ მოვლენებს რალაც გამოურკვეველ „წამხლარ წვენით“ (испорченный сок) ხსნიდა; ახლა ჩვენთვის ძნელი მისახვედრიც კია თუ ძველათ როგორ კმაყოფილდებოდენ რალაც „წამხლარ წვენების“ თეორიით, მით უმეტეს რომ ჯერ ისევ 1839 წელს შვანნმა გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევა, რომელშიაც დაამტკიცა, რომ ცოცხალ ორგანიზში თითველი უჯრედი წარმოსდგა უჯრედიდან და რომ შეჯგუფული უჯრედებისაგან წარმო-

სდგება ქსოვილ—კუნთებრივი ქსოვილი, კანი და—ქსოვილი. და სხვა, ხოლო შეჯგუფული ქსოვილები კი მთელ ორგანოებს. უჯრედების სიცოცხლე გადდის ქსოვილში და ორგანოების სიცოცხლეზე, ორგანოების უჯრედების სდგა უჯრედების შემდეგ და მაშასადამე წვენი ნაყოფია ურედების ცხოველ მყოფელობისა. ამ დასკვნიდან ერთი ნაბი, იყო იმ დასკვნამდის, რომ ცოცხალი ორგანიზმის როგორ ავათმყოფურის ისე ნორმალურის საფუძველი—არის უჯრედები, მათი ცხოველმყოფელობა, მათი მუშაობა, ხოლო ორგანიზმი ავადდება ეს უჯრედების დაავადებას, მოშლნიშნავს; მაგრამ ვირხოვამდის ამ გვარ დასკვნას ვერავინ დააგა. მარტო იმან შეძლო ღრმით ჩაკვირებოდა მოვლენა და ვსარგებლნა შვანნის თეორიით... ამ ბედისა ყველა გენოსური გამოგონება. თუმცა ფაქტი ყველას თვალწინ უდევს მაგრამ ლოლიკურ დასკვნას მარტო გენიოსის გონება გამოიყვანს ხოლმე.


ცელმოლარულ პატელოგიის მოძღვრებით იწყება ახალ ხანა საექიმო მეცნიერებისათვის (1859 წ.) რაც კი ნაყოფიერი გაკეთებულა მედიცინაში ყველას საფუძველათ ვირხოვი თეორიაა. ვირხოვამდის რალაც არეული, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ერთი ერთმანეთში დაუკავშირებელი დაკვირვებები ხელმძღვანელობდენ. მართალია, ბევრი დაუფასებელი და სუურადღებო ფაქტები ქონდათ ხელში, ისეთი ფაქტები, რომლებიც დღესაც ძრიელ ძვირფასია ჩვენთვის, მაგრამ ამ ქონდათ შემავრთებელი იდეა, არ ქონდათ ის საფუძველ რომელზედაც დაემყარებინათ მომავალი გამოკვლევანი.

ვირხოვი მრავალ მხრივ იყო შესანიშნავი. ანტროპოლოგიასა და ეტნოგრაფიაში ბევრი რამ გააკეთა; სხვათა შორის ვირხოვმა შემოიღო განსაკუთრებული მეთოდი კვიხირის (ვიპეჩხ) გასაზომავათ. რისაც განსასაზღვრელათ მან პირველი მიაქცია ყურადღება თმისა და თვალის კაცის ფერს, როგორც ანტროპოლოგიისათვის სახელმძღვანელო ელემენტებს. იმისაანტროპოლოგო-საეტნოგრაფიო გამოკვლევათ დიდი ყურადღებით ექცევიან, რადგანაც ამ შრომაში სჩანს ღრმა და დაკვირვებული გონება ვირხოვისა.

არც საზოგადოებრივი ჰიგიენა დაუტოვებია უყურადღებოთ განსვენებულ მეცნიერს. როდესაც იგი ბერლინის საბჭო ხმონათ იყო ბევრი სწერა სკოლებისა, საავათმყოფოებისა კანალიზაციისა და დეზინფექციის შესახებ და ბევრი შესანიშნავი გამოკვლევებიცა აქვს; გარდა იმისა რომ სცდილობდა პრაქტიკულათაც განხორციელებინა თავისი აზრები.

როგორც პარლამენტის (რეისტაგი) წევრი ვირხოვი პროგრესიულ დასს ეკუთვნოდა, რომლის დამაარსებელიც თითონ იყო. წინათ ამ დასს თავისუფალ მოაზრეთა დასი ერქვა დღესაც საზოგადოება დიდის გატაცებითა კითხულობს მის პოპულიარულ სიტყვებს და ბროშურებს, რომელთაგან ზოგი ზოგი გადმოთარგმნილია რუსულ ენაზედაც. მაგალითათ 1977 წ. მან დასწერა: „თავისუფლება მეცნიერებისა თანამედროვე სახელმწიფოში“, „დედაკაცის აღზრდა და მისი დანიშნულება“, „სიმშობისაგან გაჩენილ საოფლის შესახებ“, „სიცოცხლე და კვება“, „სიცოცხლე და ავათმყოფობა“ და სხვა.

ვირხოვი კარგათა გრძობდა რა დიდი მნიშვნელობაც აქვს ცოდნის პოპულიარიზაციას და ამიტომ 1866 წელში გოლცენდორფთან ერთათ დაიწყო პერიოდული გამოცემა: „ყველასათვის ხელმისაწოდებ სამეცნიერო ლექციების კრებული“ ამ კრებულმა ბევრი საყურადღებო წერილები დაბეჭდა, რომელსაც ხალხი გატაცებით კითხულობდა. 1868 წლიდან სიკვდილამდის ვირხოვი მონაწილეობას იღებდა აგრეთვე „ბერლინის საეტნოლოგო ჟურნალში“. ხოლო თუ ვავიხსენებთ



ყველა იმ ჟურნალებსაც სადაც იგი მუშაობდა, კაცი ოცნებიდან გამოვა ვირხოვის დაუღალაობით და შრომის მოყვარეობით; ამისდა მიუხედავად იგი, (როდესაც რუსეთში მოვიდა)—თითქმის 80 წლის მოხუცი ჯერ ისევ ჯარმავით იყო. ჩემს დღეში არ დამავიწყდება, როგორის დიდებით მიიღეს იგი მოსკოვში. „Новые ряды“ ყვავილებით იყო მორთული და როგორც კი გამოჩნდა დიდებული მოგზაური, ხალხი აღტაცებული „ვაშას“ ძახილით მიეგება. მისი სახელი დიდსა და პატარას პირზე ეკრათ.

დასასრულ უნდა მოვიხსენიო ერთი მისი სიმპატიური მხარეც. შარშან, როდესაც ვირხოვის იუბილეი გადაიხადეს, მან როგორც კეთილმა მამულიშვილმა დი ფაქიზმა ნემეცმა, „საექიმო საზოგადოებათა“ და სხვათ დაუგზავნა პატარა წიგნაკები „სახსოვრათ“. სადაც იგი ყველას მადლობას უცხადებს პატივისცემისათვის.

დღესასწაულების დასრულებისას ვირხოვი ეწვია ბერლინის ხელოსანთა უუძველეს ფერინს, რომლის დამატარებელიც კრონპრინცთან ერთად თვითონ იყო. „საიმოვნების ჟრუანტელმა დამიარაო, სწერს ვირხოვი, როდესაც ჩემის შესვლისათანავე გაისმა მოლოცვის ხმა და ათასმა მუშამ თავისი დაბებრებული ხელები გამომიწოდა. მე დიდად მასიამოვნა იმათმა თანაგრძობამ და შემძლიან ვუთხრა ახალ თავობას რომ მარტო ამ წუთებისათვის ღირს სიცოცხლე და შრომა. მადლიერი ხალხი ყოველთვის ბანს მისცემს თქვენ მოწოდებას სინათლისაკენ, და გაიგებს თქვენ განზრახვით და მიმართულებასა, მათის მოლოცვით ბედნიერი ვარ...

ვაი რომ ჩვენში ეგრე არ აფასებენ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთ! ყველას კარგათ მოეხსენება როგორ განვითარდა საექიმო მეცნიერება ამ 50 წლის განმავლობაში და ჩვენ მოვალენი ვართ მუხლი მოვიდრიკოთ გენიოსის ვირხოვის საფლავის წინაშე და მადლობითა და მოწიწებით მოვიხსენიოთ თანამედროვე საექიმო მეცნიერების მამა და დაუღალავი მებრძოლი სამართლიანობისა, სიკეთისა და საუკუნო საქმისათვის.

მეცნიერებასა და მედიცინასთან დაკავშირებული საკითხები.  
 მედიცინის განვითარებაში და მისი როლი.  
 მედიცინის განვითარებაში და მისი როლი.  
 მედიცინის განვითარებაში და მისი როლი.

სხვა-და-სხვა ამბები.  
 სხვა-და-სხვა ამბები.  
 სხვა-და-სხვა ამბები.

ხუთშაბათს 29 ამ თვეს ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნა პანაშვიდი განსვენებულ ავქსენტი ა. ცაგარლის სულის მოსახსენებლათ, პანაშვიდზე მრავალი საზოგადოება დაესწრო.

წარსულ კვირას კუკიის სასაფლაოზე დასაფლავეს გარდაცვალებული სახალხო სცენის მოყვარე და ვით ხოსროშვილი. დასაფლავებას დაესწრენ სახალხო სცენის წარმომადგენელი.

ქალაქის საქმეთა საკრებულომ არ იცნო კანონიერათ ის გარდასახადი, რომელსაც ქალაქი კრფდა სოფლიდან შემოსულ გამყიდველებისაგან ქალაქის ბაზრებში. ქალაქის სამმართველომ საკრებულოს დადგენილება სენატში განსაჩივრა, საიდანაც ამ დღეებში უქაზი მოსულა ამ საქმის შესახებ. სენატს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ქალაქს, მართალია, უფლება აქვს ქალაქის მცხოვრებლებს ხარჯები გააწიროს, მაგრამ სოფლებიდან შემოსულმა არაფერი არ უნდა იხადოს, თუნდაც იმიტომ, რომ სოფლის კაცს ხორაგეული შემოაქვს ქალაქის მკვიდრისათვის და ქალაქის სამმართველოც მოვალეა ამ მკვიდრთა საჭიროების დაკმაყოფილებას ხელი შეუწყოსო.

ამიტომ სენატს ქალაქის სამმართველოს საჩივარი არ შეუწყნარებია.

**ქალაქის გამგეობა**

ქალაქის გამგეობა შესდგომია კიდევ სამსახურისა და სამრეწველო სასწივლებლის დაარსების საქმეს. სასწავლებელი ფისანსთა სამინისტროს უნდა დაექვემდებაროს.

ფისანსთა სამინისტროს მოუთხოვია თბილისის გუბერნიის უფროსს საქარხნო ინსპექტორისაგან ცნობა იმის შესახებ, რა ნაყოფი მოიტანა საქარხნო ახალი დებულების შემოღებაში.

ოფიციალურათ ნაანგარიშეა მთელი კავკასიის ნორმალური სკოლები 800-მდე. ამ წელშივე განუზრახავთ კიდევ 13-დე სასოფლო ნორმალური სკოლა გახსნან.

- 1) რედაქციამ მიიღო ახალი გამოცემა „სურამის ციხე“ დანიელ ჭონქაძისა—ავტორის სურათით, გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა. წიგნი სუფთათ და კარგს ქალაღბზეა დაბეჭდილი, ღირს სამი შაური.
- 2) „გასართობი“ იმერული სცენები დ. ს. მესხისა. ღირს სამი შაური.
- 3) თომა ჭექსელი „ორგანაული ბუნების მოვლენათა მიხედვით“ სურათებით, თარგმანი პ. სურგულაძისა. წიგნი შეიცავს 208 გვერდს და ღირს 25 კა.
- 4) ლექსები და მოთხრობები, ვ. რუხაძისა ფასი 15 კ.

თფილისში ეს რამდენიმე წელიწადია არსებობს „ხელოვნებათა გამგეობის საზოგადოება“. წელს საზოგადოების გამგეობა მხედ შეუდგა მუშაობას. გამგეობამ დაიქირავა სადგომი გრიბოედოვის ქუჩაზე არშაკუნისეულ სახლში, რომელიც, შეკეთების შემდეგ, 15 სექტემბრისთვის მზათ იქნება. გამგეობას აზრათა აქვს გამართოს მუდმივი გამოფენა როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქელ მხატვართა სურათებისა. საზოგადოების წევრებსა და იმათ ოჯახებს უსასყიდლოთ შეეძლებათ გამოფენაზე შესვლა. ამ მუდმივ გამოფენის გარდა გამგეობას აზრათა აქვს ოქტომბერში დრო-გამოშვებითი გამოფენაც გამართოს. 15 სექტემბერს სამხატვრო სკოლაც დაიწყებს მუშაობას. სკოლა რამდენიმე კლას შეიცავს. თვითო კლას საკუთარი მასწავლებელი ეყოლება. სწავლა ყოველ დღე იქნება, ხოლო იმათთვის, ვისაც ყოველ დღე არ შეუძლიან, — კვირაში 2-ჯელ. მარტო კვირაობით თავისუფლათ ამ დღესაც შეუძლიანთ მეცადინეობა. სწავლის ფასი მცირეა: ნახევარ წელიწადში 20 მანეთი იმათთვის; ვინც ყოველ დღე ივლის.

ფოთიდან სწერენ „ნოვ. ობოზრ.“—ეს: ქალაქის ამომრჩეველთ სია საბოლოოთ გამოცხადდა: ამომრჩეულია სულ 184 კაცი, მათ შორის: მეგრელები 125, გურულები 47, იმერლები—24, სულ 201 ქართველი; რუსები—26, სომხები—18. ამორიცხულია 33 კაცი, რომელთაც ქალაქის ხარჯი არ შეუტანიათ. ამ დღეებში რამდენსამე მოქალაქეს გუბერნატორთან საჩივარი შეუტანია, სიებიდან ამოგვრიცხესო.

პირველ ენკენისთვიდან საჩხერის ორ კლასიანს სასწავლებელში მასწავლებელი ჯინჭველაშვილი მსურველთ ასწავლის ქართულ ენობას ნოტების საშეღებით.

ენკენისთვიდანვე საჩხერეში არსდება „საჩხერის ორკლასიანი სკოლის დარიბ მოსწივლეოა დამხმარებელი საზოგადოება“

### კორესპონდენციები.

**ს. აკათი.** (გურია). აკერ ორი წელი იქნება, რაც ბბ. კ. ჟორდა-ნიამ დ. კ. გოგობერიძემ გააღეს ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელსაც ერთი კვირა სარგებლობა ამ სოფლისათვის იმით მიაქვს, რომ სოფელს საჭირების დროს შეუძლია იმოგოს ყოველნაირი საშენი ხის მასალა. სახერხავი იმყოფება მდ. სუფის ზირად დ. ნაკომიდან ერთი ვერსტის სიშორეზე. მდინარისა და გზების სახლოვე შესაძლებლად უადვილებს საქმეს ქარხნის მატარებელს. მასალის ადგილობრივ გასა-ღებას კი ნამდვილი ხარხული სასიათი აქვს, რაცა ჩემის აზრით, საქბ-რათ ვერ ჩამოერთმევათ ასეთი მისხვილი საქმის მეთაურთ და მასთან ისეთ ზირთ. უეჭველად აღედგება კაცი, რომელსაც გაიგებს, რომ ერთნაირი მასალა საწყობიდან სხვა-და-სხვა მუშტარს სხვა-და-სხვა ფასში წაუღია. რა უშავთ ბ- მენატრებებს, რომ ყოველნაირ მ-საღას წესიერი ნიხრი დაადგან, დასწერონ ქალაქს და თვალ სა-ხინო აღაგან გამოკიდონ. გასულ კვირაში გურიის ყველა სოფლებ-ში მოხდა არა ჩვეულებრივი წყალ-დიდობა, რომელმაც ბევრი მდი-ნარეების ნაზირა სოფლები დააზიანა, ბევრი ადამიანი და ზირტყევი იმსხვერპლა და მრავალი ჭინხსული სრულიათ მოსზო დი განად-გურა. გზებიც ჭეროვანათ ვერ არის გაკეთებული, მაგრამ თუ ზამ-თრისათვის შეუკეთებელი დაჩა, მაშინ კი სამწუხაროა, რადგან ზამთრით აქ გაუვალე ტალახები იცის. რაც შეეხება სკოლას და ბიბლიოთეკას, იმაზე კარგი ვერაფერი ითქმის მაინცა და მაინც.

ბ. ქურიძე.

**ს. კლდითის საზოგადოება,** (შორაზნის მხარე). ამ რამდენიმე წლის წინათ კლდითის საზოგადოებამ განიზრახა, რომ სოფ. ცხრაწვარში მდ. აჯამურაზე (დ. ყვირილის ახლოს) ქვით-კირის დიდი ხიდი გაეკეთებინათ. ფული ხიდის გასაკეთებლათ შეგ-რისა მაშინდელმა მამასახლისმა ბ. ალექსი კვანტრიშვილმა. საკომ-ლო გადასახადი იყო 2 მანეთი, ხოლო ვინც ხარ-ურმით იმუშავე-ბდა ამ საზოგადოებიდან მას ფული ადარ ხდებოდა. ჭერ კიდევ გათავებაც არ დასცალბია ხიდს რიგინათ და მალე დაჩგრია ადი-დებულმა წყალმა. საქმის ხელახლა დაწყება თავშიც არავის მოს-ფიქვია. რაც წელიწადი დაჩგრული კედლები იყო გაღმა-გამოდებით იმაზე გადგეს ორიდღე ხე მარტო საცალფეხო სასიარულოთ და მით გათავდა ყველაფერი. ამ გვარ მდგომარეობაში იყო ეს 20 აკვისტომდის. 20-ს კი ადიდებულმა წყალმა მთლათ განადგურა, დაჩგრია რაც დარჩენილი კედლები იყო, დღეს აქ შეუძლებელია განსაკუთრებით ურმებით მიმოსვლა. უბრალო ხეების გაღება არ კმარა, რადგან წყლის კალაპოტი ძლიერ ფართოა და უხიფთვერც ურმით შეიძლება სიარული ნამეტურ ესხა შემოდგომა-ზამთარი მოდის და წყალდიდობაც ხშირია; მაგარი ქვის ხიდი თუ არ გაკეთ-და ეს საქმე მუდამ დამარცხებული იქნება კლდეთის საზოგადო-ებისათვის განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც ამ გზას ვერ აცდება და ეგრეთვე კლდეთის მოსწავლეთა-თვის, რომელნიც ყოველ დღე სახლიდან დაიარებიან დ. ყვირილის სასწავლებლებში. საჭიროა ამის მალე მიქცეს ყურადღება, ახლას შესაძლებელი მუშაობა უფრო, საზოგადოება ამას უარს არ იტყ-ვის.

რაც შეეხება ძველი ხიდის საშენებლათ (რომელიც ახლა და-ინგრა მთლად) შეგროვილს ფულებს ამასე ხმები დადის და საზოგა-დოებაში ეჭვი სუფევს. ამ უკანასკნელის თავიდან ასაცილებლათ ერთობით მოწადინებული ვართ გაგვაცუბიან ბ. კვანტრიშვილმა შეგ-რებილი ფულის გარემოება, ახარიაში. ეს მალეა საჭირო, რომ მომავალ საერთო საქმეს ხალხმა გულგრილათ არ შეხედოს და სა-ზოგადო საქმის მეთაურთად იქვე არ დაეხადოს.

ცხრაწვარელი გლეხი.

**ქ. მუხრანთი.** ოზურგეთის დუქნების შენობები თითქმის ყველა ნესტიანია, რადგან წყლის ახლო არის გაშენებული. ამი-

ტომ ნაქრებში, რომლებსაც უმეტესა დრო 24 საათის განმავლ-ბაში დუქნებში უხდებათ გაატარონ, ციებ-ცხლეება ხშირია. ჩვენმა ქა-ლაქის თავმა ბ-ნმა ცეცხლადემ არ შეიწყინარა მათი თხიფა და არ განთავისუფლდა ისინი კვირა დღეს მაინც რამდენიმე საათით. შესა-ნიშნავია აგრეთვე აქური ვაჭრების მუქარა: თუ თქვენ, ნაქრები, განთავისუფლებულ იქნებით კვირაობით, მაშინ ჩვენ დუქნებს დავ-კეტავთ, მაგრამ შიგ კი მოგაშველეთ, როგორც შერებიან ფე-თელი ვაჭრებიო. ე. ი. დარბები მართლად დახურული იქნება, მაგ-რამ დუქნში კი მაინც ვაჭრობა არ შესწყდება. აკვისტოს ზირ-ველ რიცხვებში აქურმა ნაქრებმა მიმართეს ქუთაისის გუბერნა-ტორს, რადგან ბ-ნმა ცეცხლადემ არ შეიწყინარა მათი თხიფა. მა-სუს დღე-დღეზე მოველით.

ჩვენი ქალაქის მამინაცვლები არ აქტევენ ყურადღებას არც ქა-ლაქის უსუფთაობას, რომლის უზირველესი მიზეზი ის არის, რომ ქალაქის შუაგულში აუარებული ქათამ-ბატ-იხვი დასეიფნობს; აქვეა გამართული ეტლების კანტორაც, სადაც ჩერდება ეტლი და შემო-აქვს უსუფთაობა.

ი. გირვოლაძე.

### მანანალას საზღაგვი.

ჩემო საბრალო... რა რიგ დავმარხეს, ცემლიც-კი არვინ არ დავაფრქვია, შენს გვამსა კრულვა-ზიზლით შეხედეს დი გულის ალაგს ჩაიდვეს ტყვია.

ნათესავეები შენგნით შორს იყვენ ველარ გიხილეს საბრალო მკედარი, მხოლოდ შენებრივ მაწანწალათა საფლავს მიუძღვნეს ხრწნილი ცხედარი.

სხვანი შორს გადგენ.—მერე ეს რისთვის? მათ ეგონათ, რომ სულ ეს იყავი: ლოთი, გარყვნილი, მაწანწალა, და არარაობის გამომსახავი?

ტყუილი არი... მახოვს, საბრალო, თეატრში პირველ მუშას გეძახდენ, თუ შენ არ იყავ, სხვები შენებრივ ხელოვნურათა სცენას ვერ სდგავდენ.

შენ ავად გახდი... შენს მაგიერათ სხვა გამოსცდენეს, სხვა შეითვისეს, როს განიკურნე, მათ არ დასჭირდი და სხვა ადგილიც არსად გალირეს.

იმ დღიდან იყო მიჰყე ლოთობას, შენი ცხოვრება არღარას გვანდა და თვით შენსავე უნებურათა ხალხმა დავარქვა „ბოლი-კამანდა“.


ჩემო საბრალო... რა რიგ დავმარხეს, ცემლიც-კი არვინ არ დავაფრქვია, შენს გვამსა კრულვა-ზიზლით შეხედეს დი გულის ალაგს ჩაიდვეს ტყვია.

ბ. ახოსპირელი

### კო მ ა ზ ი ბ რ ი.

(სკიტალებისი).

მე მივიღიდი ქუჩაზე ერთი ქუჩიანი დუქნის წინ. უცებ შემომესმა ვილაცის ყვირილი, იძახოდა ჩემს სახელს. მივიხედე იქით და დავინახე ჩემი ნაცნობი ლიპიანი ყასაბი სილორიზი, რომელიც მე ნისიით მაძლევდა ხოლმე ხორცს. ის მეგობრუ-ლათ მელორჯებოდა იქნედა ჰაერში ხელს და მიყვიროდა ბოხი ხმით:



- გავრი-ილიჩ! გავრი-ილიჩ!
- რა გინდა? დაუძახე მეც.
- შემოდი ერთი წამით, საქმე!

როდესაც მე დუქანში შეველი პირველათ ვერაფერი ვერ გავარჩიე, რადგან ბნელადა პაპიროზის კვამლისაგან და საძაგელი სუნის ტრიალებდა. კვორა დღე იყო და დუქანში ბევრი მუშტარი იყო. ხალხი შედიოდა-გამოდიოდა, ყვიროდა, ხმაურობდა. დუქნის მოსამსახურე ბიჭები უსუფთაო გულსაფარებით დარბოდნენ აქეთ-იქით. მე შევედექი ღირესთან და ვათვალიერებდი სიდორიჩს.

— აქეთ! აქეთ! შემომესმა მისი ხმა კუთხიდან, აქეთ წამო!

სიდორიჩი წამოდგა ფეხზე წამავლო მე ხელი და მედი-ღურათ მიმიყვანა იმ კაცთან, რომელთანაც ის იჯდა მაგი-დასთან.

— იცი ვინა ზის ჩემთან? შემეკითხა ის და აიქნია ძეხვ წამოკმული ჩანგალი ჰაერში, ეს კომპოზიტორია!

სიდორიჩი უკვე კარგათ შექეფიანებული იყო, სტოლზე არაყის შუშა და დუქნის უსუფთაო საუზმე იდგა. კაცმა, რომელსაც სიდორიჩმა კომპოზიტორი დაუძახა, ახედა მალლა და შემომხედა მე თვისი კეთილი ტრედისფერი თვალებით. ის იქნებოდა ასე ოცდა ათი წლისა, ჩადგმული ტანის, ხუჭუჭ თმიანი და მოქერაო უღვაშებით. გათელილია, ნაოქიანი, თვალზე ქვეშ დაგულდებული, ნესტოებ გადაწეული წითელი ცხვირი, ამტკიცებდნენ ხანგრძლივ ლოთობას; მაგრამ სახის მოყვანილობა კი მაინც სიმპატიური ქონდა, ხოლო ტრედის ფერი ბავშური თვალები კი რაღაც შორს წასულს, დავიწყებულს მაგონებდნენ.

— ჩვენ ხო ერთ დროში ნაცნობები ვიყავით, წარმო-სთქვა მან ხრინწიანი ნალოთავი ხმით და გაიღიმა: ორგანოვი! დაუმატა ბოლოს გამოსაცნობათ მან.

მე ერთობ გავკვირდი... რამდენიმე წლის წინეთ მე ვი-ცნობდი ორგანოვს, სიმპატიურს ჭაბუკს, ბავშვური, უმანკო, ტრედის ფერი თვალებით. ის მაშინ არა სვამდა, ლამაზიც იყო, ლაპარაკობდა და მღეროდა სასიამოვნო ბარიტონით და მოცებდა თვისი მუსიკალური ნიქით. ის უკრავდა ორ-კესტრის ყველა საკრავზე, რომელიც თავისთავათ შეესწავლა. კარგათ იცოდა მუსიკა და სწერდა რაღაც პატარა-პატარა სი-მღერებს, რომელსაც ამღერებდა თვისსავე გაკეთებულ ფის-გარმონზე. ხელობით ჩილინდარი იყო და მუშაობდა ქალაქის განაპირას თვის სახლში, სადაც ის ცხოვრებდა ბებერ დე-დასთან ერთათ. სამუშაო მას ძრეელ ცოტას აძლევდა, აკე-თებდა ძველ სამოვრებს და საათებს... სამაგიეროთ ის ყო-ველთვის ფის გარმონს უჯდა და ღარიბი ქოხიდან განუწყვე-ტლივ მოისმოდა ხმა შეწყობილი მძიმე აკორდები. ხშირათ ქორწინებშიაც ეპატიებოდნენ ხოლმე გარმონის დასაკვრე-ლათ. ის ამასაც შესანიშნავათ უკრავდა.

სიდორიჩი ერთი იმ სასაცილო ადამიანთაგანი იყო, რო, მელთაც მუსიკისა არა გაეგებათ რა, მაგრამ მუსიკა კი უყვართ. მას ერთი უბრალო სიმღერაც კი არ შეეძლო, მარა გრძო-ბათ დაიწურებოდა ხოლმე მუსიკის გაგონებაზე. ამიტომაც საკვირველი იყო კომპოზიტორისადმი მის მიერ თაყვანისცემა.

— ამას შეუძლია სუ დარდები აუშალოს კაცს, აქებდა სიდორიჩი თვის თანამებოთლეს, ვკვდები რაღა, როდესაც ეგ სამწუხარო რასმე არაკრავებს! მაგას, ძამია, ხუთას კაკალ მა-ნეთს უთვლიდნენ ნოტებში, მაგრამ სულელმა არ გაყიდა.

- კარგია შენცა და! უთხრა ცვედრებით ორგანოვმა.
- რატომ არ გაგიყიდნიათ? შევეკითხე მე.
- ისე, რავიცი... ან რისთვის? ფული მე არ მინდა, სულ ერთია შევქამ დეე როცა მოვკვდები მაშინ წაიღონ.

— მაგის ხასიათი ეგ არის, ამისხნა სიდორიჩმა, რასაც დაიყინებს აღარ გადასთქვამს. იცი რაა? მიუტრუნუნ დასხნო კომპოზიტორს, წავიღოთ ბოთლი და წავედგო მუსიკის კვი გავრილიჩიც წავიყვანოთ. შენ გვიმღერებ, ჰა თანახმა ხარ?

— ვარ!

კამპანია მთვრალი იყო, მარა ორგანოვი მე ყოველთვის მაინტერესებდა და მასთან მინდოდა მომესმინა მისი სიმღერა. მეც დავთანხმდი მათ წინადადებას. ჩვენ დაუსხედით ეტლს; ორგანოვი როგორც იყო კოზლაზე მოთავსდა. ჩვენ გავიარეთ ქალაქის გარეთ უბანი, რომელიც თითქმის სოფელსა გვანდა: ქუჩებზე, ღორები და ძროხები დადიოდნენ, აქეთ იქიდან ქუ-ჩების პირას ლობებები იყო გაკეთებული, ქოხები რაღაც სე-ვიანათ გამოიყურებოდნენ. ჩვენ შევჩერდით ერთი ქოხის წინ, რომლის ეზოს კარებზედაც ეკრა ფიცარი მეჩქემის წარ-წერით.

— სტოპ მაშინა? დაიძახა სიდორიჩმა და გადავიდა ეტ-ლიდან.

ჩვენ სამივენი შეველით მეჩქემის დუქანში. ხელოსანი იჯდა მტვრიან, პატარა მრგვალ სტოლთან და მუშაობდა და-მკლავებული. გარშემო ეყარა კალაპოტები, ტყავის ნაჭრები და იარაღები. ოთახში მძიმე და შავი სუნი იდგა. მეჩქემემ შემოგვხედა ჩვენ ქვეშ-ქვეშ მაგრამ ხმა კი არ გაუტია. მერე ოთახიდან გამოვიდა ბებერი, ჩაცმული სოფელურათ.

— დღეს მაინც აღარ დალევდი, მოითმენდი! გაუჯავრდა ის ორგანოვს, საცაა ქორწილში უნდა წახვიდე, ცოტა რამეს მაინც იშოვიდი!..

ჩვენ შეველით მეორე პატარა ოთახში, სადაც იდგა სუ-ფრა გადაუფარებელი სტოლი, სამი სკამი, პატარა ტახტი და ფის გარმონი. აქაც იგივე სუნი იდგა, როგორც მეჩქემის ოთახში; ეს ოთახი გადაყოფილი იყო თხელი ფიცრით და ყველაფერი ისმოდა რასაც სახლში ლაპარაკობდნენ.

კაცი ეს კი იყო დასში მიიღეს, საცაა ქორწილში უნდა წავიდეს და ავერ მოთრეულან ვიღაც ლოთები რო ესეც დაათრონ! მოისმოდა უკმაყოფილო ლაპარაკი ბებრისა.

— დალუბული კაცია! გაიმეორა მეჩქემემ. ორგანოვს გაეღიმა.

— ეგ ჩემი ძმაა, სთქვა მან, გაჯავრებულია, მაგრამ მე რა? ჩემთვის სულ ერთია! აღარ წავალ ქორწილში, რისთვის? მთვრალი ვარ, ფულის მოცემის მაგიერ დამაჯარიმებენ. თქვენ აქ ისხედით და მე კი გავიბრუნავ და დუქნიდან საუზმეს მო-ვიტან.

მან კარტუზი ჩამოიცივა თავზე, გავიდა თუ არა ორგანოვი ოთახში ბებერი შემოვიდა.

— არ გამომივიდა კარგი შვილი, დაიწყო მან ჩივილი, არაფერ საქმეში არ ვარგა. თუ ღმერთი გწამთ, არვიცი კი ვინა ხართ, მაგრამ გთხოვფ ნუ დააღვეინებთ, დათვრება, ქორწილში უნდა წავიდეს, იქნებ ერთი მანეთი მაინც მოი-ტანოს, ჩვენ ღარიბები ვართ. ეხ, დამსაჯა ღმერთმა და მომ-ცა ამისთანა შვილი!

— განა ძალიანა სვამს? ვკითხე მე.

— ყოველ დღე ითვრება, სუმთლათ გაანება საქმეს თა-ვი, მერე რო იცოდეთ რა კარგი ჩილინდარია.

ბებერმა რაღაც მიაწყ-მოაწყო ოთახში და გავიდა გა-რეთ.

მე მას უკან გავყე და შევაყენე.

— ნუ სჯავრობთ ჩვენზე, უთხარ მე მას, იქნებ მართლა ის ჩვენი გულისთვის არ წავიდეს ქორწილში აი მაშ... და ჩაუდე ხელში ბებერს მანეთიანი.

ამან ბებერზე მოულოდნელი შთაბეჭდილება იქონია, ის უცებ გამოიცივალა და შეცვალა ლაპარაკის კილო.

— უკაცრავათ, ბატონო, გვაპატიეთ, მე რა ვიცოდი, მე თქვენც ისეთივე მათრეველა მეგონეთ, როგორც აი სხვები დადიან ხოლმე მაგასთან, ვინ ხართ თქვენ, სადა მსახურობთ? მოითმინეთ, ახლავ ცხელ-ცხელ კართობილს მოგართმევთ.

ამდღს ორგანოვიც შემოვიდა და ბებერი მიიმალა. ორგანოვმა დააწყო სტოლზე მლაშე კიტრები და საძაგელი ძეხვი. ბებერმა მომწვარი კართობილი შემოიტანა. სიდორიჩმა გახსნა ბოთლი და ჩვენ შეუღდექით სმას. ის თითებს ატკაცუნებდა და წინათვე სტკებოდა მემუსიკის დაკვრით. ბოლოს მაინც ვეღარ მოითმინა და თხოვნის კილოთი უთხრა კომპოზიტორს:

— აბა ერთი რამე... ერთი დააგუფუნე!

— არა ჯერ უნდა დავლიოთ! უპასუხა მან.

ჩვენ კიდევ დავლიეთ.

შემდეგ ორგანოვი მოუჯდა თვისივე ხელით გაკეთებულ ფისგარმონს და რამდენიმე აკკორდი აიღო. ფისგარმონი არ იყო დიდი, მარა ხმა სასამოვნო და ნაზი ქანდა. ვინ იცის რამდენი შრომა დახარჯა, საწყალმა, რომ სრულებით უსწავლელ კაცს ეს დასაკრავი გაეკეთებინა.

სიდორიჩი გაინაბა მოლოდინში.

— რა დაუკრა? გვეკითხა ორგანოვმა, გინდათ მოცარტი დაუკრა, ან ოპერიდან რამე?

— დაუკარ ეკლესიური რამ! სულის შესახებ... უთხრა სიდორიჩმა, სიტყვებიცა თქვი.

— ძალიან კარგი... მე დაუკრავ ერთ პროპორციას, რომელი მალალთა შინა კონცერტიდან. თქვენ ამას ვერსად ვერ გაიგონებთ...

მოისმა სამგლოვიარო ხმა... წმინდა, რაკრავა მელოდია თითქმის მიისწრაფოდა ზევით, ცისაკენ. მაგრამ ეს ხმა მეტისმეტათ სუსტი იყო, რომ მისწლოდა ზეცას, ის სასოწარკვეთილი ეშვებოდა ისევ ძირს, დედამიწისაკენ და სტიროდა ცრემლებით ტანჯვა-წამებაზე. დაბალი ბოხი ხმები გმინავდნენ ასევე სამგლოვიაროთ. ამ ხმებში მოისმოდა რაღაც სამწუხარო, ჩივილი რაღაც უიმედობაზე, უსასოობაზე. მუსიკა უკრავდა მძიმე მძიმეთ, ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, ორგანოვმა დაამღერა წმინდა, მწუხარე-დატანჯული ბარიტონით:

„მრავალ ცოდვათაგან...“

აქ უცებ მან აიღო ჩუმათ აკკორდი, თითქოს გმინვა ამოხდა გულიდამო და განაგრძო: ტანჯულ არს სხეული...

და შემდეგ თითქოს თვით ფისგარმონიც ჩაუფიქრდა კომპოზიტორის სიტყვებსო, დაუმატა მომღერალმა: ტანჯულ არს სული...

— ო-ო-ოხ! ჩუმათა ოხრავდა სიდორიჩი.

ნიჭიერი ორგანოვი მუსიკის მელოდიას აძლევდა სიმღერის შესაფერ აზრს. ჩვენ დავნადვლიანდით ის კი მღეროდა მწუხარე კილოს მწუხარე სიტყვებით.

— კმარა! შესწყვიტა უცებ კომპოზიტორმა, დროა დავლიოთ!

— ოხ, ღმერთო, ოხრავდა სიდორიჩი, არა როგორ ახერხებს და! პირდაპირ გულში გწკმენტავს რაღა, გულში!

— აბა ერთი გვიმღერე რამე შენი საკუთარი სიმღერებიდან! ვსთხოვე მე ორგანოვს.

— ჩემი სიმღერები შეიძლება გარმონზე ან სკრიპკაზე, ან მე რა სიმღერები მაქვს? ისენი ძველი რუსული სიმღერებია... მოუთვლელათ... მე ამ გვარი სიმღერები ორასამდე მაქვს... ამ ლექსებს ეხლა აღარა მღერიან... მე ისინი შევკრიბე.

მან ჩამოიღო კედლიდან დიდი გარმონი, რაღაც ნაირ განსაკუთრებული მოწყობილობით და დაუკრა რუსული გაგრძელებული კილოიანი სიმღერა, რომელშიაც გამოითქმოდა ნაზი გრძობა და სიმწუხარე. ეს არ იყო ჩვეულებრივი ხალ-

ხური სამღერა: მოტივი მშვენივრათ იყო შემუშავებული, მაგრამ სახალხო სიმღერის მუსიკალური ფორმა მინაკლავდა. შეერჩინა კომპოზიტორს. ჩემს წინ იდგა ერთი კომპოზიტორთაგანი, რომელსაც მართალია არა ვიცი, მაგრამ რომელიც აღამაზებენ და ამშვენიერებენ სახალხო სიმღერებს. ორგანოვს ადვილათ ეხერხებოდა ჩვენთან თავისი გრძობა სახალხო სიმღერებში და სიმღერა კი მაინც ისევ სახალხო დარჩომილიყო. მართალია ეს იყო ძველი დავიწყებული სიმღერა, რომელსაც შესაძლებელია კომპოზიტორმა მიბაძა, მაგრამ ამ სიმღერაში მაინც გამოითქმებოდა რაღაც განმაცოცხლებელი ძალა, სიტაბუკე, სიცოცხლე; მსმენელი ვერ დაიჯერებდა, რომ ეს ხმა ამოდიოდა გალოთებულ, გათვლილი ჩილინდარის გულიდან. მეორეც ესა, განა ეს სახალხო სიმღერები, რომელიც შეესწავლა ამ უბედურს, ნუთუ არ წარმოადგენენ ძვირფას ნაშთს ძველის ხალხურის პოეზიისას?! ან ამ ხალხურ კომპოზიტორს, ნუთუ არ შეეძლო ყოფილიყო შესანიშნავი მომღერალი, რომ არ ჩავარდნილიყო გამათახსირებელ კაცის გამთელავ საზოგადოებაში. ორგანოვი მიყუდებოდა ზურგით კედელს და კვლავ უკრავდა გარმონს. ხანდისხან ის შეიქნევდა ხოლმე თმახუტუტა თავს და ამ დროს მის ბავშურ თვალეში გამოკრთოდა რაღაც სიხარულის ნაპერწკალი. ამ წუთას ის მთლათ გამოიცვლებოდა ხოლმე, თითქოს ერთბაშათ ფხიზლდებოდა და მის მოთვლილ სახეში მე ვცნობილობდი ძველ ნაცნობს ორგანოვს, ლამაზს, სიმპატიური ღიმილით ტუჩებზე, თითქოს ეს წუთიერი აღფრთოვანება სცვლიდა მის დათეთქვილ სახეს და კვლავ ატაბუკებდა, აახალგაზდებდა. გარმონი კი უკრავდა გულში ჩამწდომი ჰანგებით. ამ დროს კაცს წარმოუდგებოდა თვალწინ გადაშლილი ფართო მინდორი, გაზაფხულის საღამო, გრილი, წყნარი, მოჩურჩულე ნიავი და მასთან ერთათ წყნარი ნაზი მელოდია სახალხო სიმღერისა. ამ სიმღერაში თითქოს ვილაცხა სამუდამოთ ემშვიდობებოდა, ქვითინებდა და ტკბილ-მოწყენილობაში დნებოდა გული და სული.

სიდორიჩმა ხმა ამოუღებლივ ჩამოიწმინდა ცრემლები და კვლავ აავსო სტაქანი. ბოთლი სწრაფათ იცლებოდა.

მე ორგანოვს ველაპარაკებოდი, ურჩევდი მიეცა თვისი ნიჭისთვის გზა, დაენებებინა ლოთობისთვის თავი, წასულიყო რომელსამე დიდ ქალაქში და განეგრძო თვისი ნიჭის განვითარება.

იმან არაფერი არ მიპასუხა ჩემ შაბლონიურ სიტყვებზე. კვლავ აიღო გარმონი და დაუკრა ჩვეულებრივი ქუჩის სიმღერა.

მაგრამ ამ ჩვეულებრივ სიმღერაში ვერ იცნობდი იმ ყველასაგან ცნობილ ერთ ვალსს. ორგანოვმა მის კილოში შეიტანა თავისებური სიმწუხარე, უსასოობა. მის სახეზე საშინელი ტანჯვა იხატებოდა, თვალეში მოვლრუბლა.

ის უკრავდა „წარსულსა დროსა“

უცებ შეაქანა გარმონი, შეწყვიტა წინანდელი სიმღერა და მიაყოლა ზედ „კომარინსკი“; ახლა კი თავშეუკავებელმა გრძობამ, სიმხიარულემ, თავდავიწყებამდე გალაღებამ იფეთქა საკრავის ხმებში. აქამდე დაღონებული სიდორიჩიც გამოცოცხლდა, მან თავი მალა აიღო, მხრები შეაქანა და ააყოლა კაკუნით საყასბო დანა. სიმღერის ხმა თანდათან ძრიელდებოდა... მართალია ორგანოვს დაავიწყდა რომ ეწვივა რომელიღაც ხმა და ამიტომ სიმღერის ჰანგებში ერთი შეუწყობელი ჰნგი ერეოდა, მაგრამ ეს მაინც ბევრს არას აკლებდა მას... და ბოლოს სიდორიჩმა მაინც ვეღარ მოითმინა, მან გაშლა ხელებე და გაცურდა იმდენათ ნარნარათ, როგორც კი ეს შესაძლებელი იყო მის ათფუთიან სხეულისთვის.

მერე მან ფეხი იატაკს დაკრა ისე საშინლათ, რომ ოთა-

ხი მოლოთ შეინძრა, ის აცმაკურდა ფეხის თითებზე ბელურა ჩიტივით.

— ეხ, ეი, ეი, ეი! დაიყვირა მან და ხელ ახლო მოუსვა ბუქნას. სიდორიჩის ყოველი ნერვი ხტოდა და თრთოდა, გაწითლებულ სახეზე სიხარულის ღიმილი ეფინებოდა.

ორგანოვი კი შეიქნევდა ხუჭუჭ თმას და თანდათან უმატებდა სათამაშოს.

არ შემარცხინო სიდორიჩი! ეძახოდა ის ყასაბს.

ამ თავშეუკავებელ კილოში კი მოისმოდა კანკალა მკენესარე ზანგები...

— ელი.

### რუსეთის ცნობები.

ამ უამად ზეტერბურგშია ისტორიულთა ერთ მდიდარ ფირმის წარმომადგენელი ტადობტი. ინგლისელს აზრათა აქვს მოაწიოს რუსეთის შინა-მრეწველობის ნაწარმითა ვაჭრობის საქმე ინგლისში. ფიქრებზე, გამართან ღონდობში დიდი საწყობი ამ ნაწარმობისა და შემდეგ ეიდან მთელ ინგლისში. ზეტერბურგში კიდევ გამართულ იქმნება, მთავარი კანტონა. ამ კანტონამ მთელ რუსეთში უნდა შეიძინოს ხელმე შინა-მრეწველობის ნაწარმობი და შემდეგ ინგლისში გაგზავნოს. რუსეთის შინა-მრეწველობის ნაწარმობის დიდი სახელი და გასავალი აქვს ინგლისში, ასე რომ ამ საქმეს კარგი შერმისი მოეღის. ზეტერბურგის ბიუროს გარდა, რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას აკეთებენ იქნებინ, რომელნიც მრეწველთა ავანსათ ფუფს მისცემენ.

— მოსკოვში არსდება ახალი საქველ-მოქმედო საზოგადოება, რომელსაც აზრდა აქვს მამულისათა ჭიხებრივ და ზნეობრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

— ღაზარკია ადრული იმის შესახებ, რომ დაასრულეს განსაკუთრებული კლასები რკინის გზებისათვის უფროსს მუშების მოსამზადებლათ.

### სახელმწიფო.

**ინფლინი.** ტრედ-აინისტა კანგრესი დაიწყო სწორეთ ამ დროს, რადესაც გერმანიის და ამერიკის კრიზისი ინგლისსაც მოედვა. კრების საბჭომ დანიშნა რამდენათ იმოქმედა ამ კრიზისმა მუშების მდგომარეობაზე. სამუშაო ფასი, რომელიც 1900 და 1901 წელს მადალ წარისხე იდგა, დაეცა შესამჩნევათ. უმუშათ დანხმობითა რიცხვი 4%-დე ავიდა. გასტან და შემოსატან საქონლის რიცხვი დაეცა 150.000,000 მანეთამდე. უზირველესი ამისი მიზეზი ამის შეწყვეტაა. დაეცა მრავალი მრეწველობა, რომელიც ამზე იყო დამოკიდებული. ამის შეწყვეტის შემდეგ ინგლისში მრავალი ვაჭარბი და სათადარიგო ჯარის კაცი დაბრუნდა და მით გამრავლდა სამუშაოს მძებრათა რიცხვი.

**იტალია.** ინგლისელ ზოგიერთ გაზეთების აზრით იტალიის და საფრანგეთის კავშირი დიდათ დასუსტებს სამთა კავშირს, რომელსაც უნდა დაეცვა მსოფლიო ერთათ ერთი მიზანი: უზრუნველ ეყო ამ სამი სახელმწიფოს ერთად დღეობა. ხელა ახლანდელი იტალიის და საფრანგეთის კავშირი, რომელსაც ემხრობა რუსეთიც, ხელმძღვანელებს ამ აზრით, რომ დააკმაყოფილოს თვისი თავმოყვარე განზრახვანი. იტალია თუმცა ოფიციალურათ სამთა კავშირს მიემხრო, მარა ნამდვილათ კი ის დაკავშირებულია საფრანგეთთან ხელდა-შვა ზღვაზე და რაწამს რუსეთიც უზრუნველ ეოფს იტალიის საზღვრებს, იტალია გამოვს გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის კავშირიდან და მიემხრობა საფრანგეთ-რუსეთის კავშირს.

სრულებით წინააღმდეგს ამობს იტალიელი გაზეთი „ტრიბუნა“: მისი სიტყვით იტალია საბოლოოთ მიემხრო გერმანიას

და გადასწავლა იმოქმედოს მასთან ერთათ არამტოე პარტიკულ საქმეებში, არამეთ კონომიურ კითხვებშიაც.


**ოსმალეთი.** „ბორდარის“ ზარიხელ კონსტანტინეს ქალაქის სამხედრო აქიმათ ნამეთე იზმილი-კემალის მოხსენების შინაარსი. ეს მოხსენება აქიმათ წარუდგენია ზარიხში ქალთა ვაჭრობის მოხმობის კანგრესზე. ამ მოხსენებიდან ჩანს, რომ ოსმალეთში ქალებით ვაჭრობა ძრიელ გავრცელებული ეოფიდა. ნასეიდი ქალები მიუყვთ სულთანის, ზრინების და ფაშების ზარამხსენებისთვის. უმთავრესი ზუნქტები ქალების გასასადებლათ არის კაბარდა, ჩეჩენი და აჯარა. აგრეთვე მცირე აზიის და აფრიკის ოსმალეთის საზოგადოებო ადგილები. ამ ცაცხადი საქონლის მოვაჭრეთ ევვლასზე მუტათ ცნობილია ვინმე ჩეჩენი ახმეტ ბეი. ის დასწავებულია ევვლა წარჩინებულ ზირეთან და სულთანის სასახლეში. იგივეა სასახლის ჯამუშიც. გადმოსახლებული ჩერქეზები მიმართავენ ხელმე მას, როგორც თვის მიფარველს. ისიც საზგებლობს ამით და ათე ფასათ ეიდულობს მათგან ქალებს. ამ ჩერქეზთაგანვე არჩევს აგენტებს ამ გვარი ვაჭრობისთვის. ეს უკანასკნელნი ეიდულობენ ჩერქეზის და ქართველების ქალებს გამაჰმადიანებულ ქართველებიდან. ქალების ვაჭრობა და ზარამხსენაში გაგზავნა დავალებული აქვთ აგრეთვე გუბერნატორებსაც. ეს მოვალეობა მათ სამსახურს შეადგენს, ასე რომ თუ რომელიმე მათგანი ზირიანათ არ ასრულებს ამ ბრძანებას ითხვევენ სამსახურიდან და სჯიან კიდევ. როგორც მაგ. დასჯეს სადიკ-ფაშა, რომელიც ცეცდა ორი წელიწადი გაგზავნილია ოსმალეთის არხიპელაგის ერთს კუნძულზე.

### წერილი ოზურგეთიდან.

გარეგანი ელვებრებით შორიდან მომხიბვლელ-მომაჯადოებელი ოზურგეთი, შიგნით, გულის სიდრმეში საზარლათ დაობებულ დაფუქსავატებულთა, მისი გონებრივი მოძრაობა გულსაკლავათ მიუყრბულა და ერთ წერტილზე გაყინულა. ნათქვამის დასახისათებლათ ავილოთ ჯერ-ჯერობით თეატრი და წიგნთ-საცავ-სამკითხველო, ეს ორი სიმპატიური დაწესებულება გონებრივ-ზნეობრივათ ამამიღვებელი.

თეატრის დიდი დანიშნულება და სრუებლობა უკვე დიდი ხანია შეიგნეს და საკუთარ შენობის აგებასაც შეუდგენ ისეთ პატარა დაბებში, როგორიც ხიღისთავი, ნავომარი და სხვებია; ჩვენა გვეჩნია, რომ ოზურგეთი, როგორც ცენტრი გურიისა, როგორც ქალაქი, — ამ მხრივ მაგალითის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო ამ დაბების, მაგრამ... სინამდვილემ ცხადათ დაგვანახვა, რომ მას ამ პატარა დაბების მაგალითებითაც არ შეძლებია ხელმძღვანელობა. ყოფილი მოურავის ბ. თავდგირიძის ინიციატორობით აქაც ჩაიყრა თეატრის საძირკველი, მაგრამ სამი წლის უკან ბ. „ინიციატორმა“ ძლივს მოასწრო, თეატრის ნახევრად დამაღალ მას ღის გაყიდვა... მას შემდეგ ჩვეულებრივ კომიტეტი კომიტეტზე დგებოდა, კრებები კრებებზე იმართებოდა, მაგრამ არ იქნა და არა, უცნაურ ოზურგეთს ბოლოს მაინც თავისი დაქმარი ა. წელს ხომ საჯაროთ სირცხვილი „ქამა“ ბ. გუნიას დასს შენობის უქონლობის გამო წარმოდგენის გამართვაზე ცივი ჯარი შეუთვალა და მით მთელ ქვეყანას თვისი უძღურება ამცო.

გადავიდეთ ახლა წიგნთ-საცავ-სამკითხველოზე. ეს უკანასკნელი აგერ 5 წელზე მეტია არსებობს. ამ დროს განმავლობაში, ვგონებ, მას მტკიცეთ უნდა მოეკიდი ფეხი, მაგრამ ნამდვილათ რას ვხედავთ? თუ პირველ სამ წელიწადს ის ტატიოთ მაინც მიდიოდა წინ, ეს ორი წელიწადია პირი უკან იბრუნა და ჩქარი ნაბიჯით სამარის კარებს უახლოვდება. განვმარტოთ თქმული: თუ წიგნთ-საცავს ერთ დროს ყავდა მზრუნველიცა და გამგეც, ზედამხედველი კომიტეტიცა და სამუდ-



მო საპატო, დამფუძნებელი და თანამგრძობელი წევრები, დღეს ისინი, ჟამთა ვითარების გამო, საღალატ გამქრალან, — თუ დღემდე სამკითხველო თავს ინახავდა, გარდა ქალაქის საბჭოს მიერ ყოველ წლიურათ გადადებულ ცოტადღენ წვლილისა, — წევრებიდან, კერძო პირებიდან და აგრეთვე წარმოდგენებიდან და გასართობებისაგან შემოსულ ფულით, — დღეს ეს წყარონი დაშრეტილან...; თუ წინეთ ყოფილი გამგე თავის მოვალეობათ თვლიდა: ყოველ წლივ წარმადგინა ანგარიშები წიგნთ-საცავს შემოსავალ-გასავლისა და საზოგადოთ მისი მდგომარეობის შესახებ ეთხოვა შემოწირულება, მოეწვია კრებები და გაემართა წიგნთ-საცავის სასარგებლოთ მიწერ-მოწერა ხხვა-და-სხვა დაწესებულებებთან და კერძო პირებთან, — დღეს ეს არავის აზრათაც არ მოსდის. თუ ორის წლის წინათ წიგნთ-საცავს ეჭირა ორი საკმაოთ მოზრდილი და სუფთა ოთახი, დღეს ის მოწყვედულია ერთ ვიწრო, ნესტიან და ჰაერ-დახშულ ღუქანში; თუ სამკითხველოს გასულ წლებში სხვა-და-სხვა დროს გამოწერილი ჰქონდა: «Русское Богатство» — „Образование“, — „Миръ Божій“, — „Вѣстникъ воспитанія“, — „Кавказскій вѣстникъ“, — „Журналъ Журналовъ“ — „Журналъ для всѣхъ“ და ბევრი სხვა, — წელს სამაგიეროთ ერთი რუსული ჟურნალიც არ მოსდის; გაზეთებიც ხომ შედარებით საგრძობლათ ნაკლებია: 1) С-П-Вѣдомости, 2) Новое Обозрѣніе, 3) Нива, 4) Черном. Вѣстникъ-ი, 5) კვალი, 6) მოამბე-ცნობის ფურცელი და 7) ივერია, — ამ მთელი სამკაული სამკითხველოს; მთელი წიგნთ-საცავი რომ ძირიანათ გადასინჯოთ, ერთ ახალ წიგნსც ვერ იპოვით, ისევ ის ძველი, ადამისეული წიგნები და ნახევრათ დაფლეთილ-დაუკანმავე დროგამოშვებით გამოცემანი; ასე წარმოადგინეთ, ჩვენი საუკეთესო მწერლების სრული თხზულებაც კი ვერ შეუძენია დღემდე სამკითხველოს! სწორეთ ეს გახლავს მიზეზი რომ დღეს, წიგნთ-საცავით, როგორც ეს წიგნებიდან სჩნს, მარტო ხუთი კაცი სარგებლობს და უმრავლესობის მოთხოვნელება კი დაუკმაყოფილებელი რჩება.

1900 წლის განმავლობაში სამკითხველოს 5,582 მკითხველი ყავდა, ხოლო გასულ წელს კი მათი რიცხვი 7,382-მდე ავიდა. ერთი წელში 1,800 მოემატა! აქედან აშკარაა, მოთხოვნილება დღით-დღე იზრდება და ფართოვდება. მაშ, რა არის მიზეზი წიგნთ-საცავის უკან-დაწვევა-დაქვეითებისა? ამ რთული კითხვის პასუხი ოზურგეთის ცხოვრების გულის სიღრმეში იმალება, მისი გარკვევა-განმარტვა და იქიდან სინათლეში გამოტანა-გამოაშკარავება მომავალისათვის მიგვიწვდია. ახლა კი საჭიროთ მიგვიჩნია აღვნიშნათ მხოლოთ შემდეგი: ამ წლის იანვარში ბ. გამგემ ვაშაყმაძემ წერილობით განაცხადა ქალაქის საბჭოში: მე არ ძალ-მიძს წიგნთ-საცავს გაუძღვე და გთხოვთ, ჩემ მაგიერ სხვა ამოირჩიეთო. ქალაქის „მამებმა“ მი-აქციეს ყურიდლება ბ. გამგის ამ სამართლიან ჩივილს და ამოირჩიეს ერთის მაგიერ, ოთხი, ადგილობრივ კარგათცნობილი პირი (ს. გრიაზნოვი, თ. კიკვაძე, აპ. წულაძე და მეოთხეთ ისევ ვაშაყმაძე). ამ არჩევის დროს, გარდა კიკვაძისა, სხვები იქ იყვნ და წინააღმდეგი არა უთქვმათ რა. ყველას ასე გვეგონა: აწი მაინც ამდენი გამგეების მეცადინეობით წიგნთ-საცავი წარმატების გზას დაადგებოა, მაგრამ ეს მგონიაობა მალე გაგვიტრუვდა, მწარე სინამდვილემ სულ წინააღმდეგი და მოულოდნელი დაგვანახვა: წიგნთ-საცავს გამგეთ, წინააღმდეგ მისი სურვილისა, ისევ და მარტო ვაშაყმაძე შერჩა, და რაღა საკვირველი იქმნება რომ, ჩვენისავე გულგრილობის მეოხებით ჩვენმა სამკითხველომ სულიც არ განუტყვეოს

იუპიტერი,

სამშობლოს (ვახუ).

„გამაგრება და განახლება“. ბათუმის „თავისუფალი მშენებელი“ ჟურნალი.

სულ რამდენიმე დღე და დარჩა თბილისს, სულ რამდენიმე დღის შემდეგ მისი თვითმართველობის დარბაზის კედლებშია ახმაურდებიან კენჭები. აირჩევენ „ლლასნებს“ ავირჩევენ მზრუნველებს, პატრონებს, რომელნიც დღედაღამ რადოთხი საათის განმავლობაში თვალ-მოუხუჭავათ გვიდარაჯებენ არსაიდამ რა მოგვეპაროს, და არ შეაძრწუნოს ჩვენი დღევანდელი კეთილ-დღეობა, ბედნიერება, სიხარული, ფუფუნება, და სხვა და სხვა... ერთი სიტყვით აღარა დაგვრჩომია რა მის მეტი, რომ მოვიშვლიაოთ ქუდები და ღმერთს შევსთხოვოთ მათი დღე-გრძელობა, ჯანმრთელობა და მრავალ-ჟამივეერ!...

დღიდგან კრწანისის ბრძოლისა აღარ უნახავს სამშობლოს ამისთანა თავგამოდებული მამულის შეილნი! და მერგ როგორი თავგამოდებულნი?! ერთმანეთს აღარ აცლიან; ვინ წინ მიიტანს იერიშს ციხე-სანგლებზე, საღალატ თბილისის „კეთილ-დღეობა“ დამწყვედიული! მერე იციოთ საღალატ თბილისის „კეთილ-დღეობა“? ის საარჩევნო ყუთებშია თურმე ჩაკეტილი, ის მოტანებულია შავსა და თეთრ კენჭებ შუა, აქა მარხია თურმე ძაღლის თავი! და აი ეს ორი გულმოდგინე რაზმიც იქითკენ მიექანება. ერთს ხელში უპყრია საყვირი და შეპყივის თბილისს: გამაგრდი, გამაგრდი ძველო იერუსალიმ! — მეორეს მარჯვენე თვისი აღუჭურვინია წერაქვით და დასძახის იმავე თბილისს: განახლდი ძველო იერუსალიმო! და ორივენი კი ერთსა და ამავეს თხოულობენ: ჩვენკენ თეთრო კენჭებო!

როგორც ხედავთ ერთნი „გამაგრებაში“ ეძებენ თბილისის ბედნიერებას, მეორენი „განახლებაში“. ერთნი ძველის განმტკიცებაში, მეორენი ახლის აღორძინებაში. პირველნი არიან ეხლანდელი „ლლასნები“ მათი დარაზმული დასით, მეორენი „ლლასნობის“ მსურველნი და მათი სურვილის მოტრფიალენი. უკანასკნელთა შორის ჩარეულან ქართველებიც. მათაც „განახლება“ სდომებიათ! რომელი იქნება ქვეშ „განახლება“ თუ „გამაგრება“ ეს არც ისე ძნელი გამოსაცნობია, და არც ამაშია კითხვა. საყურადღებოა მხოლოთ ის რა ჟურის ხალხს ეკუთვნის ან „განახლების“ მოსურნენი, ან „გამაგრების“ მოტრფიალენი. რომელი მათგანიდამ მოელოს თბილისი ცხოვნებას და რომელი მათგანიდან წაწყმედას? ვისთვის უცემთ „მკერდში გული“ ან ერთს და ან მეორეს? რა მიაჩნიათ ქალაქათ და ვინ მიაჩნიათ მოქალაქეებათ? აი ეს კითხვები გვანტერესებენ ჩვენ, და თუ გადავხედავთ ორსავე რაზმს თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ რომ, ორივენი შორს არიან ქალაქის ხალხის ნამდვილ ინტერესებიდან; — ბაბოვი თავის ჯგუფით მოტრფიალენ „ყასბების გამდიდრებისა“ და სოლოლაკელები თავისი ღერბით მოტრფიალენი ოქროს ჯიბიანებისა!

შორს ჩვენგან ამისთანა „გამაგრებაც!“ და „განახლებაც!“ ასეთივე აურზაურია დღეს ბათუმშიაც, იქაც იმკლავებენ საბრძოლველათ. სახელოვანმა პალმმა უკვე დაიწყო კუნტრუში თვის გაზ. „ჩერნ. ვესტ.“-ში მან უკვე გამოაცხადა ბათუმის ახლანდელი თვითმართველობა დამარცხებულათ. ის გამარჯვების წინათვე მართავს ომის მოგების დღესასწაულს.

არც საკვირველია! კაცი, რომელიც აღჭურვილია ერთნაირი ღურბილდით, რომელიც შავის ზღვის ტალღებშიაც კი რაღაც „მუხანათ“ ხმას არჩევს და ეძებს, უდამ გამარჯვებულათა სთვლის თვის თავს. დამარცხება ხომ მისთვის ერთი უდიდესი საბუთია

1840



მისებური „განგაშის“ დასაქვრელათ! ეს ერთნაირი მისებური გამარჯვებაა, ტალახი მისთვის წამების გვირგვინია!

მაგრამ თუ პალმი სხვა „კვანტით“ აპირებს ბრძოლას, თუ ზიზღის მეტი არა ეთქმის რა ამგვარ საშუალებას, არც ქება ეთქმის მის მოწინააღმდეგეთ. ბათუმის ქალაქის თავმა, რომელიც ძლივს ძლიობით გაამაგრეს ბათუმის ყელში წაჭერილ კისერზე, დღიდან თვისი კვარცხლბეკზე შედგომისა, განაცხადა: ვიზრუნოთ ხალხისთვისო! რაში გამოიხატა აქნობამდე ეს მზრუნველობა? კანცელიარულ ჩხირკედლობაში, „ლლასნების“ მოწვევაში,—რეჩებში სათაურით და დასკვნით: „ვაზრუნათ ხალხისთვის!“ აი ქრელი სიტყვები, რომლითაც ბათუმის ქალაქის პატრიარქებს სურთ სოფელი ააშენონ.

აი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა უნდა გაითვალისწინონ მომავალ არჩევნებზე ამომრჩევლებმა და თუ პალმი ვერ მიხვდება გულის წადილს, არც ისინი არიან ამის ღირსნი ვინც აქნობამდე მხოლოდ სიტყვით „ზრუნავდა, ხალხისთვის“

ღიას, ტკბილია მალალი აზრები მთქმელის ენაზე, მაგრამ მწარე დიციენტათ მოისმის ის მის ყურში ვისთვისაც იგია წარმოთქმული!

მკვდარია სიტყვა უსაქმოთ!

\*  
\* \*

ამ წლის მარიამობისთვის ათიდან თბილისში რკინა გაიფადა! გაიფადა ფონოგრაფებიც. ეს ახალი იარაღი დღეს თითქმის ყოველი თბილისელის ოჯახში მოიპოვება. საღამოს რვა საათიდან დილის ექვს საათამდე თბილისი გალოთებულ ხრინწიან ბებერივით გაჰკივის. მღერიან ყველა კანტორებში, მაღაზიებში, რესტორანებში... რაც უნდ ყურთუკის ბალიში დაიდვათ, რაც უნდ თავს გაკანტურებდეთ და თვალებს გთვლემავდეთ ვერ ეღირსებით მოსვენებას გათენებამდე. ხომ მოგეხსენებათ ფონოგრაფი იმისთანა იარაღია, რომ არც დალლას შემოგჩივლებთ, არც მოსვენებას გთხოვთ, არც კვირა უქმე დღეებში განთავისუფლებას (არა გვანებია ოზურგეთის ნოქრებს) და მათი პატრონებიც სარგებლობენ მის მოთმინებით, ხოლო არ იღებენ მხედველობაში, არც დროს, არც თბილისელ უფონოგრაფო ხალხის დასვენებას, ძილს. კარგია კიდევ თუ შეისმინეს პოლიცემისტერის განკარგულება ფონოგრაფის მოტრფიალებმა და ამიერიდან მაინც საღამოს რვა საათის შემდეგ მოასვენეს ვისაც არ ემღერება. როგორც მაგალითათ არ ემღერებათ თბილისის რკინის გზის საავთმყოფოში ავთმყოფებს. არ ემღერებათ ჯერ როგორც ავთმყოფთ და მერე როგორც ერთნაირ ქვეშევრდომებს ერთნაირი ბატონებისას. ამ ბატონების შეცდომით საავთმყოფოს გამგეს „სტორაჟები“ დაურქმევია, მაგრამ სახელი სრულებითაც არ ახასიათებს მათ თანამდებობას. ამას მოწმობს ავთმყოფების მოწოდება მათ წინაშე, ამას მოწმობს ავთმყოფების მუდარა და ხვეწნა და ქრთამით მოპოება მათის სიყვარულისა და სათნოებისა. ამასვე მოწმობს მუჯლუგუნები თუ ვინმე ფარაჯაში გახვეული მივიდა ავთმყოფების სანახავათ, ამასვე მოწმობს მათი მუდამ ჩაწითლებული სახე და შეხურებული შუბლი, რასაკვირველია იმავე ავთმყოფების ჯიბის მეოხებით. ღიას არ ემღერებათ რკინის გზის საავთმყოფოში იმ ავთმყოფებს, ვისთანაც ფარაჯიანი მნახავები მიდიან!

რიგოლეტო.

მეფე ვახტანგ მე-VI-ს კანონები და პარტიკული ქალი \*).

ჩვენი წარსულ კულტურის ჯეროვნათ განსაზღვრის ნიშნულათ ერთი უმთავრესი საშუალება, უქვეყნოა მდგომარეობა ჩვენი ერის გონებრივ ნაწარმოებთა შესწავლაში. მე-XIX-ტე საუკუნეს უნაყოფოთ არ ჩაუვლია ჩვენთვის ამხრავ. ჩვენმა არქელოგ-ისტორიკოსებმა შეაგროვეს ფრიად მდიდარი საისტორიო მასალა და შემდეგშიც მრავალ საყურადღებო ნიმუშების აღმოჩენას მოველოთ მათგან. ამ მასალებში გაფანტულია ერის ყოველ-მხრივი ვითარება, მისი წინ-სვლა და უკან-დახვევა სხვა და სხვა ეპოქებში, მისი გონებრივ-ზნეობრივ-იურიდიული მდგომარეობა და სხ. შეგროვილი მასალაც საკმარისია, რომ ერის წარსულ ცხოვრების ზოგიერთ მხარეს მაინც მოფინოს სხივი. მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევათ. სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით არავინ იწუხებს თავს. ეს ვეებერთელა გონებრივი სიმდიდრე ჯერ-ჯერობით მკვდარია და უსარგებლო ქართველი მკითხველისათვის. აკი კიდევაც კვირობენ ის დალოცვილები, რომ მათ სქელ გამოცემებს არა ყავს მუშტარი სამშობლოში! ასეთი საყვედური ყოვლად უსაფუძვლოა. საზოგადოთ ჩვეულებრივი მკითხველი იმას ეტანება, რაც მისთვის უფრო ადვილათ გასაგებია; მას აინტერესებს მდაბიო-ხალის ენით და ხელოვნურაა აღწერილი მამა-პაპათა ცხოვრება. ამ მხრივ-კი მასალათა კრებულნი სრულიათ უსარგებლონი არიან მათთვის. ყველასათვის ცხადია, რომ ცხოვრება არ არის შეჩერებული ერთს დონეზე, იგი მუდმივ მოძრაობა-ცვლილებათაშია, ენაც ამ კანონს ექვემდებარება, აქედან თანამედროვე მკითხველისათვის თითქმის გაუგებარია ძველი ენა და ამ ენაზე დაწერილი თხზულებანი. საჭიროა, რომ ისტორიკოსმა აალაპარაკოს ეს ჯერ-ჯერობით მკვდარი მასალები და მით დაუახლოვოს მკითხველის აწმყო-მომავალი მამა-პაპათა ცხოვრებას—ერთათ ერთი საგანი, რომელიც გაატაცებს ხოლმე მკითხველის ცნობის-მოყვარეობას...

მეფე ვახტანგ მე-VI-ს კანონები—უძვირფასესი ნიმუშია ქართველთა ერის დიდებულ წარსულისა. ჩვენ თამამათ შეგვიძლია ეს დიდი შრომა გვერდში ამოუყენოთ განათლებულ ერთა კანონთა ძველ კრებულთ. ვახტანგის კანონების მეცნიერულათ შესწავლით ისტორიკოსი—იურისტი დიდ სინათლეს მოუფენს ჩვენი ერის სოციალურ წეს-წყობილებათა და იურიდიული დამოკიდებულებათა ცვალებადობის ისტორისა.

ამ წერილის უმთავრესი მიზანია ქართველი ქალის სოციალურ-იურიდიულ მდგომარეობათა დახასიათება მეფე ვახტანგ მე-VI-ის კანონების მიხედვით. ხოლო სანამ ამ მიზანის სისრულეში მოყვანას შევუდგებოდეთ, ჩვენ გამოვთქვამთ ზოგიერთს ფორმალურს, მაგრამ საჭირო შენიშვნებს.

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ ისტორიის პირველ ხანებში საზოგადოებას არა აქვს დაწერილი კანონები. ის ხელმძღვანელობს ურთიერთშორის დამოკიდებულებათა განსაწესრიგებლათ მამა-პაპათაგან გადმოცემულ და ახლათ წარმოშობილ ზნე-ჩვეულებებით, ე. ი. ადათით. ცხოვრების განვითარებას-გართულებას შედეგათ მოყვა სხვა და სხვა ადათთა იმ ზომამდე გამრავლება, რომ მათი ზეპირათ გადაცემა მოდგმიდან-მოდგამდე შეუძლებელი ხდება. მაშინ იბადება აუცილებელი მოთხოვნილება, რომ ეს ადათნი დაწერილ იქმნან, რის მეოხებით ისინი კარგვენ ერთ-დროულ და შემთხვევითი ხასიათს, ეს პროცესი ფრიად ხანგრძლივი და რთულია. ზეპირნი ადათნი უცბათ როდი უთმობენ თავის ადგილს დაწერილ სამართალს, მათ შორის დაუცხრომელი ბრძოლაა უპირატე-

\*) Сборникъ законовъ Грузинскаго Царя Вахтанга VI, изд. Френкеля, подъ ред, Д. Вакрадзе.

სობისათვის. ასე გასინჯეთ, ეს ბრძოლა დღესაც არ დასრულებულა: მდაბიო ხალხი ჯერ კიდევ ადამიანთ ხელმძღვანელობს თავის ყოველ-დღიურ მოქმედებაში, თვით დაწერილი სამართალიც-კი (მაგ. რუსული), რომელსაც (დაწ. ს. მ.) დიდი ხანია ხელში უპყრია ბატონობის ბაირალი, იძულებულია დააკანონოს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში მსაჯულმა უნდა გადაწყვიტოს დავა ადგილობრივ ჩვეულებათა თანახმად. მეფე ვახტანგის კანონდება წარმოსდგა ჩვენი ისტორიის სწორეთ იმ ხანაში, როდესაც დაწერილ სამართალს უკვე შესაფერი საპატო ალაგი ეჭირა ერის ცხოვრებაში, ამიტომ იგი წარმოადგენს ისეთ შრომას, რომელსაც დაედო საძირკვლათ ერის სამართლის წინანდელი ხელთ-ნაწერები. მიუხედავად ამისა ჩვენ შევალთ მიუტყვებელს შეცდომაში, თუ ვიფიქრეთ, რომ ეს კანონდება განსაზღვრიდა ერის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთშორის ყოველგვარ დამოკიდებულებათ. ასეთი აზრი თანამედროვე კანონდებულების შესახებაც-კი მეტის-მეტე ცალმხრივი იქნებოდა. რაც უნდა განვითარებული იყოს რომელიმე ერის კანონ-მდებლობა, მაინც უკანასკნელთან შედარებით ცხოვრება ყოველთვის მდიდარი და მრავალ ფეროვანია. იყვენ მასხალადმე მრავალნი ისეთნი მხარენი ცხოვრებაში, რომელთაც სრულიად არ ეხებოდენ ვახტანგის კანონები, ან თუ ეხებოდენ რომელიმე მათგანს,—მეტის-მეტათ მოკლეთ და სხარტათ. მაგალითათ ჩვენ ვიცით, რომ ფეოდალის და გლეხის შინაურს დამოკიდებულებას ვახტანგი თითქმის სულ არ ეხება... უეჭველია, დამოკიდებულებანი, რომელნიც არ იყვენ ნახსენები კანონ-დებებაში, განისაზღვრებოდენ უმეტეს ნაწილათ ადგილობრივი ადათებით. ჩვენ არ უნდა დავგავიწყდეს ეს გარემოება, როდესაც ქართველი ქალის მდგომარეობაზე გვექნება ბაასი. თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ქალების სრული დახასიათება შეუძლებელია მარტო კანონდებულების მეოხებით. მეტსაც ვიტყვი, ჩვენ არა ვართ დაზღვეულნი შეცდომათგან უმთავრესათ იმიტომ, რომ კანონმდებელი ხშირათ აკანონებს ისეთ წესს, რომელიც სრულიად არ არსებობს ცხოვრებაში და რომელთა დამკვიდრება მას მხოლოდ სურს მომავალში.

ჩვენ ვსარგებლობთ რუსულს ენაზე გამოცემულ ვახტანგის კრებულით. თარგმანი შესწორებული და საფუძვლიანათ განმარტებულია დ. ბაქრაძისაგან, ამიტომ უფრო გავბედეთ ჩვენ დაენდობოდით ამ გამოცემას.

I,

**ქართველი ქალის ზარმადული უფლება-მოვალეობა ოჯახში.**

ა) ქალი როგორც ცალი.

მეფე ვახტანგის კანონთა კრებულმა იცის მხოლოდ მონოგამიური ოჯახი. ეს არც საკვირველია, თუ გავიხსენებთ, რომ ქართველთა ცხოვრება კანონ-მდებელთა დროს იმდენათ განვითარებული იყო, რომ ერთ-ცოლობა—ერთ-ქმრობას უკვე მაგრათ ქონდა გადგმული ფესვები ერის გონებრივ-სარწმუნოებრივ წარმოდგენაში, კანონ-მდებელთ მხოლოდ მიანიჭეს იურიდიული სანქცია იმას, რასაც ერი ისედაც სავალდებულოდ ხდიდა ჩვეულებათა ძალით.

როგორც ვიცით, მამა-კაცის და დედა-კაცის შორის სქესობრივმა დამოკიდებულებამ განიცადა განვითარების გზაზე მრავალ-გვარი ცვლებადობა. მათ შორის მრავალ-ცოლობას (პოლიგამია) და მრავალ-ქმრობას (პოლიანდრობა) საპატო ალაგი უჭირავთ ოჯახის განვითარების ისტორიაში. ეს ორგვარი სქესობრივი დამოკიდებულებანი მოასწავებენ საზოგადოების მოქალაქობრივათ განუვითარებლობას. ადამიანი ამ ხანაში უფრო ახლო დგას ცხოველთან, ვინემ თანამედროვე თავის მოძმეს-

თან, მას ნაკლებათ აქვს შეგნებულა თავის მოვალეობა მოყვასთა წინაშე. მისი მოთხოვნალება ფერად სადაა ასე რომ ოჯახის წევრთა სიმრავლე მას ~~მას~~ პირ იქით მას ეს სიმრავლე ზოგიერთ შემთხვევებში ადგება კიდევ, მაგ. მტრის მოსაგვრებლათ ან საზრდოს მოსაპოვებლათ. ასე როდია ქართველთა მდგომარეობა დაწერილი კანონთა წარმოდგომის დროს. ადამიანის უფლება-მოვალეობანი ჯეროვანათ არიან განსაზღვრულნი არამც თუ ოჯახში, არამედ სახელმწიფოებშიაც-კი; მოთხოვნალება გაფართოვდა მას ვეღარ აკმაყოფილებს პრიმიტიული შრომა.

მოგხსენებათ, რომ ქალიტაციობას ფრად ვრცელი ისტორია აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში. ამ ჩვეულების წარმოშობა იკარგება ადამიანთა წასრულ ცხოვრების წყვილადში. ოჯახის სახსენებელი არც-კი იყო ადამიანის წარმოდგენაში როდესაც იგი აკმაყოფილებდა თავის ფიზიოლოგიურს მოთხოვნალებას ქალ-ტაციობის მეოხებით. შემდეგ, როდესაც ოჯახი უკვე დამკვიდრდა ცხოვრებაში, ეს ჩვეულება იქცევა უზნეო საქციელად ერის წარმოდგენაში. მიუხედავად ამისა, კიდევ ბევრი საუკუნოები იყო საჭირო, რომ ეს ველური თვისება სრულიად მოსპობილიყო ადამიანის ბუნებაში. ქართველებმა რამდენიმე საუკუნის წინეთ დაუტყვეს ეს ჩვეულება, დაწერილმა სამართალმაც მხარი მიცა მათ, ხოლო თვით რეალურ ცხოვრებაში არ გამქრალიყო მთლათ ეს სენი და დრო გამოშვებით თარეშობდა იგი ადრინდელის სიმხეცით. სწორეთ ამიტომ ასე ენერგიულათ დევნიან მას ჩვენი კანონ-მდებელნი. გიორგი ბრწყინვალეს სამართალით მოტაცებული ქალის ქმარს ეძლევა უფლება ერთი წლის განმავლობაში გადაწვას, გადადგოს მომტაცებელის სამკვიდრებელი; შეუძლია მოტაცოს მას ყოველი საბადებელი, ამ დანაშაულისათვის იგი არ არის პასუხის-მგებელი არავისთან; მას შეუძლია განაგრძოს მტრობა მეორე წელსაც, ხოლო მაშინ ქალის მომტაცებელი მოვალეა დაუტრვოს მას ნახევარი სისხლი<sup>1)</sup>; თუ ვინაცოდა ქმარმა მტრობის დროს მოკლა ვინმე შეურაცხყოფელის ოჯახიდან, ან თვითონ შეურაცხყოფელი, მან უნდა იკმაროს ეს სისხლათ და ამით გათავდეს შუღლი მათ შორის (22 მუხ.) ვინც მოიტაცებს გვირგვინ ნაურთხ ქალს, მაგრამ არ გაუპატიურებს მას, უნდა უზღოს მას ნახევარი სისხლი (23). ათაბაგთა ბექა და ალბულას სამართალით ვინც ნება-ყოფლობით მოიტაცებს სხვის ცოლს, იგი მოვალეა მისცეს მისს ქმარს ორ-კეცი სისხლის საურველი ქმრის გვაროვნობის მიხედვით (47); ხოლო თუ მან ძალათ მოიტაცა ის, რასაც „ლაშქართა უხლებლად ვერ უზამს“, მაშინ მოვალეა ორ-კეცი სისხლის გარდა უზღოს მისს ქმარის თავზე დასხმისათვის ცალკე საურველი და მოტაცებული ნიეთები დაუბრუნოს უკან (48). მეფე ვახტანგი აწესებს თავის სამართალში: ნება-ყოფილებითი წავგრა „და იურვების“ სისხლის ორი-მესამედით, ხოლო ძალ-მომარეობითი—მთელი სისხლით და მის გარდა სისხლის ორი-მესამედით თავზედ დასხმისათვის და მტაცებლობისათვის; წაღებული საქანელი სრულიად უნდა დაუბრუნდეს შეურაცხყოფილ ქმარს (84, 85).

ამ სამართალთა შორის ჩვენ ვამჩნეთ თანდათანობას. თუ გიორგი ბრწყინვალე კანონიერათ ცნობს შეურაცხყოფილი ქმარის მხრით ყოველ-გვარ თვითნებობა—ძალ-მომარეობას ქალის წამგვრელის წინააღმდეგ, ბექა და ალბულა უკანონოთ თვლიან ასეთ საქციელს და ამის მაგიერ აწესებენ ქმრის და-

<sup>1)</sup> სისხლით დაუბრუნება ნიშნს ეს შეურაცხყოფილის ფულით ან საქანლით დაკმაყოფილებას შეურაცხყოფელისაგან. სისხლის რაოდენობა განისაზღვრებოდა წაღებრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობათა მიხედვით.

კმაყოფილებას საურველით; ვახტანგი ამ მხრივ ეთანხმებოდა ათაბაგთ, მხოლოდ ნაკლებ საურველს აწერს დამნაშავეს. ეს მოვლენა პირდაპირი შედეგია ცხოვრების და აქედან კანონბდებლობის ხანგრძლივი განვითარებისა. პირადულ-გვაროვნულ შურის-ძიება, რომელსაც ასე დიდი ალავი უჭირავს ერის ცხოვრების პირვანდელ ხანაში, არ შეეფერება კულტურულ სახელმწიფოს წეს-წყობილებას. ეს უკანასკნელი სასტიკათ სდევნის თვით-ნებობას, თუ გინდ ეს გამოწვეულ იყოს არსებითი უფლებების ფეს-ქვეშ გათვლით; დამნაშავეს განსასამართლებლათ და დასასჯელათ არსებობს სასამართლო და შეურაცხყოფილმაც იქ უნდა მიმართოს. დამნაშავეს განსამართლება სახელმწიფოს ერთი უმთავრესი ფუნქციათაგანია და ამიტომ ვერ მოითმენს იგი კერძო პირთაგან ამ უფლებების დათურგენას.

ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ მომტაცებელი არის დამნაშავე მარტო ქმრის წინაშე და სასყიდელსაც აძლევს მხოლოდ მას. ქალის ზნეობრივ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე სამართალი არაფერს ამბობს იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც გაიტაცებს ძალათ. კანონდება იცავს მარტოთ-მარტო ქმარს, და თუ გნებავთ, ოჯახს, რომლის ბატონ-პატრონი ქმარია; მან კარგათ იცის, რომ ოჯახი ის ძვირფასი უჯრედია, რომელიც საფუძვლათ ედება სახელმწიფოს და ამიტომ სდევნის ამ უჯრედის დამრღვეველს; ქალიც მისთვის (კანონ დებისათვის) სახეში მისაღებია მხოლოდ, როგორც ამ უჯრედს აუცილებელ-საჭირო შემადგენელი ნაწილი, ამ შემთხვევაში ცოლ-ქმარ შორის უსწორ-მასწორება მეტის-მეტი საგრძნობელია. წარმოიდგინეთ, იმას, ვისაც პირდაპირ ფიზიკურ-ზნეობრივ ტანჯვას აყენებენ, უყურადღებოთ სტოვებენ კანონ-მდებელნი და მის მაგიერ აკმაყოფილებენ იმას, რომლის დაზიანებისათვის ზარალი უნდა უზღონ მისს პატრონს—ქმარს.

არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ სისხლის დაურევება შეიძლებოდა მხოლოდ ქმრის წოდებრივი მდგომარეობის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ შეურაცხყოფელი ქმარი იღებდა იმდენ საურველს, რამდენიც დაკანონებული იყო მისს და არა ცოლის გვარზე<sup>2)</sup>. ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ დაბალი წოდების მამა კაცი ირთავდა ცოლათ მაღალ წოდების დედა-კაცს და ამ შემთხვევაში ქალის წოდებრივი უპირატესობა ისპობოდა. ქმრის ბატონობა ოჯახზე კანონ-დებისაგან აღიარებულია, როგორც მომხდარი ფაქტი. თუ მოხდებოდა ისედაც, რომ მაღალ წოდების კაცი ირთავდა ცოლათ დაბალ წოდების ქალს, მაშინ უკანასკნელს ანიჭებდა კანონი ქმრის ხარისხს. ეს იმას მოასწავებს, რომ ქმარი ანიჭებს ქალს ზოგიერთ უფლებათ, ხოლო თვითონ მზგავსი უფლებათა მიღება ქალისაგან, სამარცხვინოთ მიიჩნია. ეს ასეა თანამედროვე ერთა კანონდებაშიც, ასე რომ ამ მხრივ მათი შეხედულება ვერ გაცალდება ჩვენი ერის წარმოდგენის ვიწრო ფარგალს.

ფრიად სამირცხვინო და მასთან მიუტყვებელ დანაშაულათ აღიარებს კანონ-დება ცოლიანი კაცის და ქმრიანი ქალის შორის სქესობრივ კავშირს. ათაბაგი ბექა აწესებს ასეთს

<sup>2)</sup> გიორგი ბრწყინვალეს სამართალი წინამდებელს ამისა აფუძნებს ცოლის გვაროვნობის მიხედვით დაურევებას როდესაც დანაშაული ეწება მისს პირადობას. ეს მოვლენა ნათლათ ახასიათებს მატრიარქატის და პატრიარქატის შორის ხანგრძლივი ბრძოლის ერთს უმთავრეს მხარეს. იყო დრო, როდესაც ქალი მეტის უფლებებით იყო აღჭურვილი ოჯახში, ის არ სპობდა სრულიად კავშირს თავის მშობლებთან და მისი გვარიც არ ისპობოდა გათხოვებით, გიორგი ბრწყინვალეს სამართალიც, როგორც აღნიშნული მოვლენილი აღნიშნავს ქალის გვაროვნობის მნიშვნელობას ზოგიერთ შემთხვევაში. ხოლო შემდგენი კანონ-მდებელნი უკუ აგდებენ ამ შეხედულებას, რაც მოასწავებს ქმრის უპირატესობის თანდათან დაფუძნებას ოჯახში.

შემთხვევაში შეურაცხყოფილ იყო ქმრის დაკმაყოფილებას „კუროსაგან“ მთელი სისხლის საურველით. გარდ ამისა ასეთი „უსინიდისო და უპატიოსნო“ საქციელით დასჯის ოჯახის ამარა, ყელზე საბელ მობმული უნდა ატარონ ქუჩა-ქუჩა. ამ უკანასკნელ დასჯას მას შეუძლია თავი დაახწიოს იმ შემთხვევაში, თუ უზღვევს შეურაცხყოფილ ქმარს ორ-კეცათ საურველს (24), ეს მუხლი ჩვენ ნათლათ გვიმტკიცებს, თუ რამდენათ სავალდებულოთ და სასარგებლოთ იყო აღიარებული საქართველოში მე-XIV-ტე საუკუნეში ოჯახის შეუღლებლობა ზნეობრივათ, ცოლ-ქმური კავშირის სისპეტაკე. ასე გასინჯეთ, ცოლის მოტაცება ნაკლებ სისასტიკეს იწვევს კანონ-დებისაგან, ვინემ მრუშებ.

ვახტანგის სამართლის თანახმათ, როდესაც ქმარი წაასწრებს თავის ცოლს მრუშებაზე სხვა პირთან, მას შეუძლია ორივე დამნაშავენი იქვე მოკლას<sup>3)</sup> და მით აღადგინოს ოჯახის პატიოსნება; მას შეუძლია ასე მოიქცეს იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც დამნაშავე ბატონია. ასეთი მკვლევლობისათვის აღარ არის პასუხის-მგებელი კანონის წინაშე (42). ეს მკვლევლობა არ უნდა მიეწეროს თვით-ნებობას, რომელზედაც ზევით მოვიხსენიეთ. პირობები, რომლებშიაც ხსენებული მრუშება ხდება იწვევს ადამიანის პსიხოლოგიაში ისეთს მდგომარეობას, რომ იგი (ადამიანი) დროებით კარგავს ხასიათის სიმტკიცეს, ე. ი. ნებას და მთელი თვისი არსებით ეძლევა წუთირს აფექტაციას, რასაც შედეგათ მოყვება მკვლევლობა. ასე უყურებენ დაახლოვებით თანამედროვე განათლებულნი სახელმწიფონი მზგავს მკვლევლობას,


ა. ჩხენკელი.

(შემდეგი იქნება).

**თ. ილ. ზავჯავახი და მისი პოეზია.**

როდესაც კითხულობთ მესამოცე წლებში დაწერილ თხზულებებს და შეადარებთ მეორე ხანაში დაწერილებს, შეუძლებელია ერთი გარემოება არ შეამჩნიოთ: პირველ ნაწერებში გრძნობას იმდენივე ალავი აქვს დათმობილი, რამდენიც გონებას,—ისინი შეერთებული, ერთად შეზავებული გრძნობისა და გონების ნაყოფი არიან, შემდეგ ნაწერებში კი, გარდა მცირეოდენი გამონაკლისა, გრძნობას თანდათან უფრო მცირე ალავი ეთმობა, გონებას კი თანდათან მეტი და ბოლოს გონება სრულებით იმორჩილებს და სჩაგრავს გრძნობას. პოეზიას როდესაც გრძნობა აკლია და ის მარტო გონების ნაყოფია, გატაცებითი ძალა, სიცოცხლე აკლია და ასეთი მშრილი პოეზია გულწრფელობასა და პირდაპირობასაც ხშირათ მოკლებულია. ყოველი სუბიექტიური მწერალი გრძნობას დიდ თავისუფლებას უნდა აძლევდეს თავისს ნაწერებში, რადგანაც გრძნობა ინსტინქტიურათ, სტიქიურათ ხატავს სიმართლესა და ქეშმარიტებას იქ, სადაც პირობების ზეგავლენით შებორკილი გონება ბევრჯერ ვერაფერს ხედავს, ან ხედავს გადამახინჯებულათ, ყალბათ. გრძნობა ადამიანის გულიდან გადმოსჩქებს, ის არავითარ მოსაზრებას, არავითარ პირობებს არ ემორჩილება და ამიტომ ის გულწრფელი, პირდაპირი და სამართლიანობის მოყვარეა. სულ სხვაა გონება, იმას აწონვა და გაზომა უყვარს, ის დროისა და პირობების გავლენას ექვემდებარება, საცა თქმაა საჭირო, ხშირათ სდუმს, საცა ბრძოლაა საჭირო, ხშირათ გულხელდაქდობილია, საცა

<sup>3)</sup> სომეხთა სამართალი უკრძალავს ქმარს მემრუშე ქალის მოკლას, „რადგან მემრუშებისთვის დემრთმა გვიბრძანა გაყრა და არა მკვლევობა“-ო (169).



მხილება საჭირო, ბევრჯერ ქებას ამბობს და სხვ. გრძობა კი ყოველთვის პირდაპირ აპობს გზას თავისი მიზნისაკენ, ყოველ საგანს, ის თავის საკუთარ სახელს უწოდებს პირდაპირ და დაუყოვნებლათ. გრძობათა სიჭარბეს რომ არა, აღვილი შესაძლებელია, მესამოცე წლებში არ გვეტყოდა ილია ჭავჭავაძე ბევრ იმ კარგ და სვეტაკ აზრებს, რაც თქვა. უმეტესათ გრძობათა სიჭარბის ბრალია, რომ ილ. ჭავჭავაძის ვარსკვლავი, როგორც პოეტის, ყველაზე უფრო მესამოცე წლებში ბრწყინავდა, ის ერთბაშათ ამობრწყინდა ჩვენი ცხოვრების ჰორიზონტზე დიდ ვარსკვლავათ და შემდეგ თანდათან მიკრთა და მიილულა. გრძობის განდევნის ბრალია ერთის მხრით, რომ მეორე ხანის ნაწერებში ილ. ჭავჭავაძემ ბევრი დამალა, ბევრი არა თქვა ისე, როგორც უნდა ეთქვა, ბევრგან გადაუხვია და ბოლოს სრულებით იცვალა სახე.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა-თანავე ილ. ჭავჭავაძე დაადგა ნაციონალურ გზას. თუმცა ილ. ჭავჭავაძის ნაციონალიზმი მესამოცე წლებიდან მოკიდებული დღემდე ლოდიკური განვითარებაა ერთი და იმავე მოძღვრებისა, მაგრამ მესამოცე წლებში ილ. ჭავჭავაძის ნაციონალიზმი უფრო ზომიერი იყო, უფრო ლმობიერი და მასთან მოკლებული შოვინისტური უკიდურესობას, მესამოცე წლებში ილ. ჭავჭავაძის ნაციონალურმა იხატება სამშობლოს ღრმა სიყვარულში. მას ერთნაირათ უყვარს როგორც წარსული, ისე აწმყო, მის აღრეულ ლექსებში ხშირათ გაისმის ქართველი, ქართული და საქართველო, მაგრამ მამულის სიყვარულშიც პოეტის უმთავრესი ყურადღება აწმყოსა და მომავალსა აქვს მიქცეული, პოეტის იდეალია არა წარსულის დაბრუნება, არამედ აწმყო მდგომარეობის გაუმჯობესება, მამულის გამოღვიძება და აყვავება და ამგვარათ უკეთესი მომავლის შობა. ფრიად განდიდებული წარმოდგენა აქვს ჩვენი წარსულის შესახებ. აიღეთ მისი „დედა და შვილი“, რაც ავტორს მესამოცე წლებში დაუწერია. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ნაწარმოებში ბევრი კარგი და ღრმა აზრია, როგორც სახელოვნო ნაწარმოები ის ფრიათ სუსტია; მისი სისუსტის მიზეზი ორი ნაკლებეანებაა: ერთი გადაჭარბებული სანტიმენტალიზმი, მეორე ყალბათ წარმოდგენილი ფსიხოლოგია დედისა და შვილისა. რა ძლიერაც უნდა ყვარებოდა ჩვენს ძველს დედას თავისი მამული, შეუძლებელია შვილის სიკვდილით მან ინეტაროს იმიტომ, რომ ის ქართველია; შეუძლებელია ამას წუხდეს: რატომ ბევრი არა მყავს შვილი, რომ ყველამ მამულს შეაკლას თავიო. ილ. ჭავჭავაძის დედა კი ამ შეუძლებელს შესაძლებლათ ხდის. დედის გული მხოლოთ ერთია, მისი დედაშვილური სიყვარული ერთი,— ის ორათ არც ერთ შემთხვევაში არ იყოფა და, რაც უნდა კარგ და სასახელო საქმეს წააკლას შვილმა თავი, დედის გულმა რომ ნეტარება იგრძნოს, ეს მხოლოთ ოცნების ნაყოფია. ამ მხრივ მარტო ილ. ჭავჭავაძე კი არ ჰღალატობს ქვეშარტ ფსიხოლოგიას, ასე იქცევიან და ამ შეცდომას იმეორებენ ყველა ჩვენი ნაციონალისტი-მწერლები. თუ გადაჭარბებული აზრს არის ილ. ჭავჭავაძე ძველ ქართველებზე, ამგვარივე გადამეტებული აზრის არის საზოგადოთ ქართველობაზე, რაც სარჩულათ ედება ავტორის გადამეტებულ ეროვნულ სიამაყეს; უკანასკნელი კი პირველ ნაბიჯს წარმოადგენს შოვინიზმისაკენ, თუ ვინმეა მცარცველი მის ნაწერებში, ეს საცოდავი უსათუოთ სომეხი უნდა იყოს და სხვ. მესამოცე წლები ისე თი ხანა იყო ჩვენში, როდესაც ეროვნული მიმართულება, ეროვნული იდეები, ეროვნული მოძღვრება არა თუ ფრიათ საჭირო, აუცილებელი იყო. რეფორმები იწყებოდა; ძველ ცხოვრებას ნიადაგი ეცლებოდა; მოწინავე ახალთაობაში საერთო იმედი სუფევდა, რომ ძველ წყობილებას თან გაყვებოდა ძილი და დადგებოდა ხანა გამოღვიძებისა და აყვავების-

სა და ასეთ დროს ეროვნულ მიმართულებას გზას ვერ აუხვევდა ვერც ერთი ახალგაზრდა, რომელსაც სწავლის სამსახური ჰქონდა მიზნათ. (მიუხედავათ იმისა, რომ პოეტი რომ დაბრმავებული მოტრფილთ არა ყოფილა ქართველობისა, ამას ამტკიცებს რამდენიმე მისი წვრილი ლექსი და განსაკუთრებით კი „კაცია ადიაანი“. ახალგაზრდა პოეტს ძალიან კარგათ ჰქონდა გათვალისწინებული თავისი სამშობლოს თანამედროვე მდგომარეობა, მისი ნაკლებეანება-ნი. რუსეთიდან ჩამოსვლისათანავე მან ერთი თვალი გადაავლო გარეშემო ცხოვრებას და მიზნათ იდგა იმას გამოუხიზლებაში მხურვალე მონაწილეობა მიეღო; მაგრამ რადგანაც ცხოვრებას ბევრი ნაკლებეანებანი ჰქონდა და საჭირო იყო მათი მოშორება, ამიტომ ახალგაზრდა პოეტმა პირველათვე აქეთკენ მიაშურა. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ დაიწყო და როგორ დაბოლოვდა იმისი ბრძოლა ბატონყმობასთან. სამაგიეროთ უფრო გაბედული იყო მისი ბრძოლა არისტოკრატისთან. მესამოცე წლებში ჩვენს მოწინავე წოდებას არა ჰყოლია დ. ჰონქაძეს გარდა ისეთი სასტიკი, შეუბრალებელი მამხილებელი და მკიცხავი, როგორც ილ. ჭავჭავაძე იყო.)

მრავალ კარგ და ქვეშარტ აზრთა შორის მესამოცე წლებში ილ. ჭავჭავაძეს ისეთი ღრმა აზრებიც გამოუთქვამს, რომლებიც გამეორებითაც დღესაც კი ბევრს მოაქვს თავი და რომელთა განხორციელებამდე ვინ იცის, რამდენი დრო გაივლის ჯერ კიდევ.

ახალგაზრდა პოეტი უკვე შემუშავებული პროგრამითა და გარკვეული მსოფლიო შეხედულებით გამოვიდა საქვეყნო ასპარეზზე. ის ღრმათ დარწმუნებულია, რომ ძველი წყობილება უნდა დაირღვეს

და ახალს ნეტარსკედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აღუყვავდების.

პოეტმა იცის, რომ წოდებრივი წყობილება გარდაუვალი სახე კი არ არის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, არამედ ის ერთ ერთი საფეხურია ისტორიული განვითარებისა ავტორის შეხედულებით სამართლიანობა და სიმართლე, კაცთ მოყვარება და სათნოება მხოლოთ მაშინ აღარ ივლიან ეკლის გვირგვინით, როდესაც საზოგადოებაში ყოველისფერი მხოლოთ შრომაზე იქნება დამყარებული. ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით თვით ცხოვრება უნდა მოეწყოს ისე, რომ უქმ სიტყვათ აღარ იყონ ძიობა და ერთობა, რომ კაცთმოყვარეობა ეკლის გვირგვინით აღარ დადიოდეს, თორემ თუ ადამიანის გულსა და ზნეობას მივანდეთ სამართლიანობის გამეფება ცხოვრებაში;

სად შეეხებვის ის ბრძოლებას,  
რას შეხებით მისით თვათ რჩება?

ამგვარათ საზოგადოებრივი წყობილების შესახებ ახალგაზრდა პოეტს ქვეშარტი და მასთან ღრმა აზრი ჰქონდა შემუშავებული. თუ ასეთი აზრი დღეს აღარავის აღარ გვიკვირს, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ამას წერდა პოეტი მესამოცე წლებში, როდესაც შრომის უფლება ათში ერთს არ აგონდებოდა და როდესაც საზოგადოებრივი თანასწორობისა და კეთილდღეობის საფუძველს თვით პიროვნებაში ეძებდენ და არა პიროვნების გარეშე. ღრმა ჰუმანური გრძობები, ბედისაგან დაჩაგრულთა სიყვარული, მათი ტვირთის შემსუბუქებისათვის ზრუნვა და მათი ცხოვრების გაუმჯობესების წყურვილი— აი რა ახასიათებს ახალგაზრდა პოეტს, როდესაც 58 წელს პოეტი წერდა:

პატო გიჟვარდეს!  
ცათ შთამომძახეს,  
რას მათ დამბადეს.  
ვევლებან ეს სიტყვა

ლამპრად წინ მიმუჯა  
და ქვეყნად ჩემს სვლას  
სტეპდა წმინდ ნათესა,

ეს უბრალო სიტყვები კი არ იყო, ან ცალიერი თავ-  
მოწონება, ამას პოეტი გულწრფელათ ამბობდა: მას მართ-  
ლაც სიყვარული წაუძღვია წინ ლამპრათ და გაუნათა ჩვენი  
ცხოვრების ის კუთხეები, სადაც უფრო საჭირო იყო სინათ-  
ლე, სიყვარული და დახმარება. პოეტმა პირველი ნაბიჯითვე  
გვამცნო, რომ მთელი მისი სიყვარული და თანაგრძობა,  
მთელი მისი სული და გული, ერთს სიტყვით მთელი მისი  
არსება შრომის შეიღებისაკენ იყო. სხვა ნაირათ ვერც მოიქცეო-  
და ის, ვისაც ისე ესმოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარ-  
ება, როგორც ილ. ჭავჭავაძეს. როგორი აზრის იყო პოეტი სა-  
ზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციის შესახებ? გადიკითხეთ  
მგზავრის წერილები და ჰკითხეთ თქვენს თავს, თუ რათ უყ-  
ვარს პოეტს თერგი მყინვარზე უფრო? იმიტომ რომ მყინვა-  
რი განზე გამდგარა, მიუკარებელია, თერგი კი მუდამ მოძ-  
რავია, მუდამ იბრძვის და აგონებს ავტორს ადამიანის ცხოვ-  
რებას, ავტორის შეხედულებით ცხოვრებაც იგივე ბრძოლაა;  
პოეტს სწამს, რომ „ბოძრაობა და მართა მოძრაობა არის  
ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“, თუმცა ახალგაზრდა  
პოეტი წოდებრივი და კლასებრივი ურთიერთობის კი-  
თხვას საფუძვლიანათ არსად არ არკვევს, მაგრამ მისი  
პირველი ხანის ნაწერებიდან ცხადათ ჰხედავს მკითხვე-  
ლი, რომ ავტორის შეხედულებით წოდებრივი და კლას-  
ებრივი წყობილება ინტერესთა სხვა და სხვაობაზე არის აგებული  
„ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდან  
დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამოღებულა, მაღლიდან კი  
შენობა არსად არ დაწყებულა“, წერს ავტორი მგზავრის წერი-  
ლებში. ეს ისეთი სიტყვებია, რომლებსაც განმარტება აღარ ესაჭი-  
როება. ავტორის მთელი მისწრაფებანი, მისი იდეალები, მისი  
მსოფლიო შეხედულება მხოლოდ დემოკრატიული იყო და  
მესამოცე წლებში ილ. ჭავჭავაძე ერთი საუკუნეთსო დემო-  
კრატი—პროგრესისტი იყო ჩვენ განვიხილოთ, რას და  
ვის ემსახურებოდა ილ. ჭავჭავაძე მესამოცე წლებში, რო-  
გორი იყო მისი მისწრაფებანი, მისი იდეალები და რას ქადა-  
გებდა ის. დაგვჩა განუხილავი, თუ როგორი იყო ილ. ჭა-  
ვჭავაძე, როგორც პოეტი და ბელეტრისტი. სამწერლო ასპა-  
რეზზე გამოსვლისათანავე ილ. ჭავჭავაძე დაადგა რეალურ  
გზას, მაგრამ უკანასკნელ დრომდე შეიჩინა მან რომანტი-  
ული მიდრეკილებანი. პოეტის ფანტაზია ფართო ფრთებსა  
და ფართო ჰორიზონს მოკლებულია; ახალგაზრდა პოეტი  
სულის კიცხვითა და კარგის ქებით იმდენათ იყო გატაცებუ-  
ლი, რომ სინამდვილეში ხშირათ იმას კი არ ხედავდა, რაც  
მართლა არსებობდა, არამედ იმას, რისი დანახვაც თვითონ  
უნდოდა. ამიტომაც ყველა მისი ნაწერები სუბიექტიურია:  
თქვენ აქ ყოველ სტრიქონში ხედათ ავტორს, მის სიმბატის,  
მის სურვილებს და იმის მისწრაფებებს. განსაკუთრებით ავ-  
ტორის სუბიექტიური ნიჭი ნათლათ იხატება სხვადასხვა პირთა  
დახასიათების დროს. მაშინ, როდესაც პოეტი ძლიერია ისეთ  
პირთა დახატვაში, რომლებსაც ის არ თანაუგრძობს, სიმსა-  
ტიურ პირთა დახატვაში ის მეტათ სუსტია. არც მისი მღვდ-  
ელი, არც მისი გაბრიელი ნამდვილი ცხოვრებიდან ამოღებუ-  
ლი არ არიან. ერთიკა და მეორეც მხოლოდ ავტორის ფან-  
ტაზიის ნაყოფია, ავტორის სენტენციები არიან და თუ მიუ-  
ხედავათ ამისა მკითხველზე შთაბეჭდილებას ახდენენ, მხოლოდ  
იმიტომ რომ ავტორის ძლიერმა ნიჭმა კიდევ შთაბერა მათ  
სიცოცხლისა და სინამდვილის მკირეოდენი ნიშანწყალი.  
როდესაც ავტორი სინამდვილეს არ შორდება, მაშინის შეუ-  
ღარებელია, ხოლო რამდენათაც უფრო შორდება სინამდვი-

ლეს, მისი ძლიერება მით უფრო სუსტდება. მაგალითათ  
მღვდლის ტიპის ხატვის დროს ავტორი გაიტაცა თავისმა სუ-  
რვილმა, თავისმა იდეალმა მღვდლისამ და ქვეყნისათ  
მღვილეს, ამიტომაც მღვდელი გლახის ნაწერებში მხარე-  
ლოს მშვენიერ ქანდაკებას უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ  
ადამიანს. ლუარსაბის ხატვის დროს კი ავტორი ცდილობდა,  
სინამდვილეს არ მოშორებოდა და ამიტომაც მისი ლუარსაბი  
სამაგალითო გამოვიდა. ლუარსაბის ხატვაში ილ. ჭავჭავაძემ  
გამოიჩინა ერთი ნაკლი რომელიც ავტორში შემდეგ და შე-  
მდეგ უფრო განვითარდა. თუ ვისიმე დამკირება მოინდობა  
მან, აღარასფერს არ დაზოგავს, ადამიანის არც ერთ მხარეს  
არ დატოვებს და მთლათ მიწასთან გაასწორებს იმის პირო-  
ვნებას. ლუარსაბის სურათს ავტორმა იმდენი სუბიექტიური  
ხაზები ჩაურთო, რომ ლუარსაბმა სრულებით დაკარგა ტიპის  
ხასიათი. თუმცა ჩვენს მწერლობაში და საზოგადოებაში გა-  
ვრცელებულია ის აზრი, ვითომც ლუარსაბ თათქარიძე ტიპი  
იყოს ჩვენი ძველი არისტოკრატიისა, მაგრამ ამ პირის შესწავ-  
ლა გვარწმუნებს რომ ლუარსაბსა და მის ცხოვრებაში ბევრია  
ტიპიური მხარეები, მაგრამ საერთოთ ლუარსაბი არ წარმო-  
ადგენს ჩვენის ძველი არისტოკრატიის ტიპს, ის უფრო კან-  
კრეტული პირია, ხოლო იმდენათ სრულათ, იმდენათ დაწერი-  
ლებით და რელიეფურათ დახატული, რომ ასე მკაფი-  
ოთ გამოქანდაკებულ პირს ძალიან ცოტას შეხვდება მკით-  
ხველი ჩვენსლიტერატურაში. ილ. ჭავჭავაძის ძლიერება გამოიხა-  
ტება პოეტურ ზომიერებაში, გამომხატველობითი ნიჭში, იდე-  
ურ მხარესა და ფსიხოლოგიის ცოდნაში. მისი ყოველი შემუ-  
შავებული თხზულება, როგორც მაგალითათ „კაცია ადამიანი“  
და „გლახის ნამბობი“ საუცხოვო ნიმუშებია იმისი, თუ  
როგორ უნდა იწერებოდეს სახელოვნო ნაწარმოები. ქართულს  
ენაზე ცოტას ნახავთ ამდენათ შემუშავებულ ნიმუშებს. აქ  
არც ერთი სიტყვა, არც ერთი შტრიხი მეტი არ არის; ყო-  
ველი სიტყვა თავის ალაგას არის; არც გამოკლება შეიძლება  
რისიმე და აღარც ჩამატება საჭირო. ავტორს საუცხოვოთ  
ეხერხება იმის გამოხატვა, რასაც გრძნობს და რასაც ხედავს;  
გამომხატველობითი ნიჭის ძლიერებას აორკვევს მძიმე, ხში-  
რათ მოუხეშავი, მაგრამ საერთოთ საუცხოვო ენა, რომელიც  
ყოველ აზრს ლურსმანივით ამაგრებს მკითხველის გონებაში.  
ილ. ჭავჭავაძის ენის სილამაზე და ორიგინალობა სწორეთ  
იმის სიმძიმეში და მასთან სისრულეში მდგომარეობს: ის თა-  
ვისებურია, ყოველთვის და ყოველგან ხატავს სისრულითა  
და სინამდვილით ავტორის ფიქრსა და გრძნობას და ამიტომ  
ავტორის ყოველი აზრი და გრძნობა გულისა და გონების  
სიღრმეში წვდება მკითხველს. პირველ ხანებში ავტორის ენას  
ძალიან ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ  
ძალიან გაიწმინდა და ჩვენი სალიტერატურო ენის შექმნაში  
სხვა მესამოცე წლების მოღვაწეთა შორის ილ. ჭავჭავაძესაც  
საპატიო ალაგი უჭირავს, თუმცა ამ მხრით ვერც ის და ვერც  
სხვა აკაკის ვერავინ შეედრება. სამაგიეროთ მესამოცე წლების  
პოეტთა და ბელეტრისტთა შორის ახალგაზრდა ილ. ჭავჭა-  
ვაძე ყველაზე მაღლა დგას თავისი ხელოვნების იდეური  
მხრით: ერთი რომ მისი პირველი ხანის ყოველი ნაწარმოები  
აშენებულია რაიმე დროის შესაფერ და მასთან საყურადღე-  
ბო იდეაზე, მეორე მისი ნაწერების ყოველი სტრიქონი აფი-  
ქრებს ადამიანს და ამუშავებს იმის გონებას. თავის ნაწერებ-  
ში ილ. ჭავჭავაძემ გამოააშკარავა დაკვირვების უნარი და  
ფსიხოლოგიის ამოცნობის ძლიერი ნიჭი. მიუხედავათ ამისა,  
რომ მისი პირადი გემოვნება და მისწრაფებანი ბევრგან ამა-  
ხინჯებენ იმის მომქმედ პირებს, უკანასკნელები არსად არ  
ჰალატობენ თავისს თავს, მათს ლაპარაკსა და მოქმედებაში  
ერთი სიტყვა, ერთი მოძრაობა არ არის ყალბი. პირველი

ხანის განმავლობაში ილ. ჭავჭავაძის ბელეტრისტიკაცა და სალექსო პოეზიაც ორივე პუბლიცისტური შინაარსისა არიან და მათი ძლიერება და მათი ისტორიული მნიშვნელობაც სწორეთ ამაში მდგომარეობს. ილ. ჭავჭავაძე იმ დროს გამოვიდა სამწერლო აწარებსზე, როდესაც ჩვენს დაქობებულ ცხოვრებაში სიბინძურისა და ღრმა ძილის მეტი არა იყო რა. ასეთ დროს ყოველი პოეტი და ბელეტრისტი უპირველესათ პუბლიცისტი უნდა ყოფილიყო და ილ. ჭავჭავაძეც სწორეთ ეს გზა აირჩია. ერთის სიტყვით თუ ვინმე შეფერებოდა მესამოცე წლებში თავის დროს, ერთი საუკეთესო ალაგი მათმორის ილ. ჭავჭავაძეს უჭირავს, მაგრამ ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ ნორჩს, ახალგაზრდას, ენტუზიასტს, გატაცებულს და არა პრაქტიკული ცხოვრების სამქედურში გატარებულს. ღირსებასთან ერთათ პირველი ხანა ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის რაოდენობითაც შესანიშნავია; ყველაზე მეტი და მასთან საუკეთესო და კლასიკური თავისი ნაწერები მან სულ რამდენიმე წლის განმავლობაში დაწერა, მეორე ხანაში კი იმისი მესამედიც აღარ დაუწერია და 90 წლიდან სრულებით მიატოვა ხელოვნება-

ვიდრე დავამთავრებდეთ ჩვენი წერილის პირველ ნაწილს საჭიროთ მიგვაჩნია ერთი გარემოების განმარტება. მიუხედავათ იმისა, რომ ილ. ჭავჭავაძეს ძლიერი დაკვირვებითი ნიჭი აქვს, მიუხედავათ იმისა, რომ მას მეტათ ეხერხება ადამიანის ბუნების ამოკითხვა, გლახსა და მის ბუნებას ის არ იცნობდა. ავტორს გლახის არა თუ ტიპი, მისი უბრალო კონკრეტული სახეც კი არსად დაუხატავს თავის ნაწერებში. ერთად ერთი პეტრე („სახიობელაზე“) მოგაგონებთ გლახს, მაგრამ მხოლოთ მოგაგონებთ; ყველა ის პირები კი, რომლებიც ავტორმა წარმოგვიდგინა გლახის სახით, მხოლოთ ავტორის ფანტანიის ავტორის სურვილის ნაყოფი არიან და არა ნამდვილი ცხოვრების. ილ. ჭავჭავაძე არა თუ არ იცნობდა გლახს, მას არც უყვარდა ეს გლახი. როგორ თუ არ უყვარდა? ვის?—ილ. ჭავჭავაძე და „გლახი“ არ უყვარდა?! გაიოცებს ბევრი მკითხველი. დიალ, არ უყვარდა. მას უყვარდა გაბრიელი, მას უყვარდა კაკო, მას უყვარდა გიორგი და შეიძლება დღესაც უყვარდეს, ხოლო ნამდვილი გლახი, ცხოვრების პირმო შეილი და არა პოეტის ფანტანიისა და სურვილის ნაბიჭვარი მას არ უყვარებია. ილ. ჭავჭავაძის აწ განსვენებული დემოკრატიზმის შესახებ ჩვენს საზოგადოებაში ფრიათ ცრუ აზრი არსებობს. ბევრი მას დღესაც კი დემოკრატს უწოდებს!— თითქოს ამა თუ იმ წარქმეულ სახელს შეეძლოს ადამიანის ღირსების ან ნაკლებების გამოხატვა. როდესაც ახალგაზრდა პოეტმა ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე ფეხი შედგა, მისი აზროვნება, მისი მსოფლიო შეხედულება, მისი მისწრაფებანი, მისი იდეალები წმინდა დემოკრატიული იყვენ, სულით—პოეტი დემოკრატი იყო, ხოლო მთელი თავისი არსებით,—ხორცილთ ის იყო ნამდვილი არისტოკრატი. სანამ მისი სულიერი მხარე ტონს აძლევდა მთელ იმის მოღვაწეობას, დემოკრატიულ გზასაც პოეტი არ აცდენია, მაგრამ ამგვარმა მსვლელობამ ფრიათ ცოტახანს გასტანა. ამ მოკლე ხანშიც პოეტი მხოლოთ თანაუგრძნობდა გლახს, ებრალებოდა ის ამიტომ კი არა, რომ ის გლახი იყო, არამედ ამიტომ, რომ „მძიმე უღელი ქვეყნის ცოდვისა“ მას აწვა კისრათ, პოეტი კი უსამართლობის მტერი იყო, საზოგადოებრივი სამართლიანობის დამცველი და ამიტომ მხოლოთ ებრალებოდა გლახი, როგორც სოციალური უსამართლობის მძიმე ტვირთქვეშე მყოფი. ის ზვიდან დაჩრებოდა ქვევით მყოფ გლახს, იბრალებდა მას, შენატროდა მისი ცხოვრების გაუმჯობესებას, მისი ტვირთის შემსუბუქებას, ხოლო სიყვარული, წარმატება, წარფელი სიყვარული გლახისადმი პოეტის გულს არც ერთხელ არ უგრძნებია. ჩვენ

ამას ილ. ჭავჭავაძის დასამცირებლათ სრულებითაც არ ვამბობთ. ილ. ჭავჭავაძეს უნდოდა, ის გულწრფელათ ცდილობდა გლახი შეეყვარებია, ერთხანს ეგონა კიდევ, რომ უყვარდა გლახი, მაგრამ ყოველთვის, როდესაც კი მისთვის გლახი გააწვდიდა, მხოლოთ გაბრიელი ან მისი მზგავსი შერჩებოდა, ნამდვილი გლახი კი მისთვის მიუკარებელი რჩებოდა. ის გამოვიდა არისტოკრატიის წრიდან, აღიზარდა ბატონ-ყმურ ატმოსფერაში და მიუხედავათ თავისი გულწრფელი სურვილისა და მეცადინეობისა თუ გლახი მაინც ვერ შეიყვარა სულით და გულით, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მან შეძლო გლახის თანაგრძნობა და იმის სასარგებლოთ ხმის ამოღება და ამისთვისაც „ვაშა“ ახალგაზრდა პოეტს, რადგანაც იმ დროსა და იმ დროის პირობებში ესეც ძალიან ცოტამ შეიძლო. აიღეთ რუსეთის მწერლები: ტურგენევი და შჩედრინი. ვინ ამოიღო ხმა გლახის სასარგებლოთ მათსავით? არავინ, მაგრამ მიუხედავათ ამისა მათ არ უყვარდათ გლახი, ისინი თანაუგრძნობდენ მას, იბრძოდენ მისთვის, მაგრამ მისი სიყვარული, მისი ძმობა, იმის გვერდში ყოფნა და ტოლამხანაგობა ვერ შეძლეს და ვერა. იგივე დამართა ილ. ჭავჭავაძესაც და დამართებოდა ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო იმგვარ პირობებში აღზდილი იმის ალაგას მყოფი. მაგრამ ამა თუ იმ წრის ან წოდების სიყვარულით არ აიწონება საზოგადოებრივი მოღვაწეობა. საქმე იმაშია, თუ სადითკენ იყო პოეტის სული და გული, სადითკენ მისწრაფოდა მთელი მისი არსება, რას და ვის ემსახურებოდა ის. ჩვენ დავინახეთ, რომ მესამოცე წლებში პოეტის სურვილები ყოველათ წრფელი იყვენ, მის აზრები, იდეალები, მისწრაფებანი ყოველათ პატიოსანი, მის მსოფლიო შეხედულება ქეშმარიტ ნიადაგზე აშენებულთ. მაშინდელს ჩვენს ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი ცუდი მხარე, მაშინდელ ქართველში არ დაუტოვებია პოეტს არც ერთი ცუდი თვისება, რომელიც მას არ გაეკიცხოს შეუბრალებელის სატირითა და სასტიკი იუმორით. სამაგიეროთ რაც იყო კარგი და დროისათვის შესაფერი, იქითკენ პოეტი მთელი თავისი არსებით მისწრაფოდა. ერთის სიტყვით ახალგაზრდა ილ. ჭავჭავაძე დევნიდა ყოველგვარ ბოროტებას, თესდ სიკეთეს, სამართლიანებას, კაცთმოყვარეობასა და სათნოებას გულწრფელი და შეგნებული მოსარჩლე იყო „ბედისგვა დაჩაგრულთა“, იცავდა მათს სამართლიან ინტერესებს და ამით ითხოვდა საზოგადოებაშიც სამართლიანობის გამარჯვებას მიუხედავათ წარსულის ღრმა და ძლიერი სიყვარულისა. ის არა ტიროდა მას, „რაც დამარხულა“;—სი ცდილობდა, აწყო გაეუმჯობესებია, ხალხის მომავლის შექმნაში მხარდას მონაწილეობა მიეღო. ყოველივე ეს ექვს გარეშე ჰყოფს, რომ პირველ ხანაში ახალგაზრდა ილ. ჭავჭავაძე იყო ერთი საუკეთესო მოღვაწე, პროგრესიული და მასთან ფრიათ პუბლიკური მწერალი, ხოლო ის არ წარმოადგენს ჯერ დადულებულ ტიპს,—ის ჯერ გაუბედავია, კრძალვაში და ეჭვშია, დაუდულებელი და დამთავრებელია. იმის მეორე სახეს, სახეს დადულებულ და დამთავრებულ მოღვაწისას ჩვენ ქვევით გამოვარკვევთ.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

**ლიტერატურა და ეპოქოშიური პირობანი.**

პარიზელ პროფესორ რენანის „მეცნიერული მეტოდა ლიტერატურის ისტორიაში“.

როდესაც სიტყვას მოაქვს და გვინდა გავიგოთ რა დამოკიდებულება არსებობს ლიტერატურასა და რომელიმე ქვეყნის ეკონომიურ კეთილ-დღეობას შორის, ძალიან ვნებუ-

რათ ვეკითხებით ჩვენს თავს: მართლა და-ან კი რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საფრანგეთის ლიტერატურისათვის, მაგალითად, იმ გარემოებას, რომ საფრანგეთმა საზღვარ-გარეთიდან შემოიტანა ასი ათასი საცალო ბამბა და გაიტანა ასი ათასივე კოკა ლინო? რა გავლენა უნდა ჰქონდეს მწერლის ნაწარმოებზე ქარხლის კარგ მოსაყვალს, ანუ აბრაშუმის დამზადებას? ჩვენ რომ ამ ორ, სრულიათ სხვა და სხვა დარგთა შორის რაიმე კავშირი ვეძებოთ განა უცნაურობა არ იქნება?—არა!

ეკონომიურ პირობებს და ლიტერატურას უცილებელი კავშირი აქვთ ერთმანერთთან. ეს ორი მოვლენა ერთი მეორის თანამგზავრია. ზოგჯერ ზოგიერთი ეკონომიური მოვლენა შედეგია ლიტერატურის ზედგავლენისა. ხოლო უფრო ხშირათ კი ლიტერატურა, როგორც გამომთქმელი ერის გულის, — ეკონომიური მოვლენანი მოქმედებენ ლიტერატურაზე. ლიტერატურა, როგორც სარკე ნათლათ გადმოგვცემს და გვიჩვენებს იმ ცვლილებათ, რომლებიც ხდება ხალხის მატერიალურ ცხოვრებაში.

იგივე ლიტერატურა ზოგიერთ შემთხვევაში დამოკიდებულია ვაჭრობისა, მიწათმოქმედებისა და ინდუსტრის უპირატესობისაგან.

მე აზრათ არა მაქვს ნათქვამის დაწვრილებითი განმარტვა, საკმარისია დავასრულოთ რამდენიმე მაგალითი, რომ ლიტერატურასა და ეკონომიურ პირობათა შორის არსებული კავშირი ყველასათვის თვალსაჩინო შეიქმნეს.

§ 1. — როგორც ისტორია, ისე ლოლიკური მსჯელობა გვიჩვენებენ, რომ ეკონომიური პირობანი უფრო ადრე წარმოიშობენ, ვიდრე ლიტერატურული ნაწარმოებნი. ამას ძველებური ანდახაც ამტკიცებს. *Primum vivere, deinde philosophari* (ჯერ ცხოვრება და მერე ფილოსოფოსობა) ეს იმას ნიშნავს, რომ იქ სადაც საზოგადოების უმთავრესი მატერიალური მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული არ არის, ხელოვნება ფეხს ვერ მოიკიდებს. როგორც პოეტთა ნაწარმოებთ დატკობა ისე ამათ ნაწარმოებთა შექმნა შეიძლება მარტო მაშინ, როდესაც ადამიანი თავისუფალია. ასე იყო იმ თავით ამ თავამდის, როდესაც ცივილიზაციამ პირველათ აიღვა ფეხი, და ასეა ახლაც. ტყვილათ კი არ ამბობს გიომ დე გრეფი თავის თხზულებაში „*sutroduction à la Sociologie*“), რომ მოცალეობა (*inaction*) ნებითი თუ უნებლიეთი ხელოვნების ქვეკუთხელია. არტიტი იმით განირჩევა უბრალო მწარმოებლისაგან, რომ იგი გამუდმებით არა მუშაობს, იგი მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც დასვენებულ-დამშვიდებულია და მოიმართიება ხოლმე შთაბეჭდილების მისაღებათ ასაღფრთოვანებლათ... ამ გვარსავე მდგომარეობაშია ხოლმე უხილავი გენიოსობა ზეგარდამო მადლით ცხებულის ადამიანისა. ჩვენ გვგონია, რომ ყველა რასაც კი ასეთი გენიოსი სწერს—ნაყოფია უცაბედობისა, ნამდვილათ კი გენიოსური ნაწარმოები შედეგია იმ ენერჯისა, რომელიც ეძლევა ადამიანს რამდენიმე ხნის განმავლობაში.

არსებობს თუ არა თანდათანობითი დამოკიდებულება ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასა და მის ლიტერატურას შორის? თუ რომელიმე ქვეყანა ბედნიერი და მდიდარია, მისი ლიტერატურაც აყვავებულია, ვინაიდან პოეზია და მოცალეობა თანა სდევს ერის კეთილ-დღეობასა. რთველის გამოისობით დაიწყო საბერძნეთში კომედიების წერა და ვიდრე საბერძნეთის ერი მშვიდათა და უზრუნველათ ცხოვრობდა ეს დარგი ლიტერატურისა აყვავებული იყო. ახლა თვალის გადავლოთ საფრანგეთის ისტორიას. ლიუდოვიკო XIV-ს მეფო-

ბის დროს, 1661 წლიდან ვიდრე 1672 წლამდის, საფრანგეთი მშვიდი და ძლიერი იყო. ხაზინა სავესე ჰქონდა სიმდიდრით. მისმა ვაჭრობა-მრეწველობამ ბაზარი ქვეყნისა და კანადაში. ქვეყანი და გამოცდილი ყველგან სხანათ ჰმართავდა სახელმწიფო საქმეებს: შექმნა ძლიერი სავაჭრო ფლოტი და ინდუსტიას გზა გაუკაფა.

მეფის სასახლე გარდაიქცა ლიტერატურის მფარველათ, სულის ჩამდგმელათ. ბალები და ოპერები მოედო ვის, პარიზს, სენ-ჟერმენს. ბენსერადმა მოიხმო მუზა და ყველა ღმერთები, რომ შეექო ახალი ეპოლონი, ბრწყინვალე-მეფე. მეფისავე საამებლათ მოლიერი სწერს პიესებს და უკვდავ ფარსებს. თავისუფლება და ფულით დახმარება ამხნეებდა მწერლებს, შეძლებას აძლევდა სულითა და გულით მისცემოდენ თავის საქმეს, რადგანაც ლუკმა პური საზრუნავი აღარა ჰქონდათ. ვინ ჩამოსთვლის რამდენი დიდებული ნაწარმოები დაიწერა იმ დროს იმიტომ, რომ საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა ნებას აძლევდა უწარჩინებულებს ეცხოვრათ მდიდრულათ და ფუფუნებით.

ჩვეყვეთ ახლა ქვეყით და თვალის გადავლოთ შემდეგ საუკუნეს. ლუდოვიკო XIV-მ დაპყარა თვისი დიდება და გაფლანგა თვისი სიმდიდრე. საფრანგეთიც გაღარიბდა იმ ომების წყალობით, რომელთაც ლუდოვიკო ეწეოდა თითქმის მთელ თვის სიცოცხლეში. სახელმწიფო ხაზინა დაცარიელდა, მეფე იძულებული შეიქნა გადაედნო თავისი ვერცხლეულობა ან და ყალბო ფული მოეჭრა, ეს კიდევ ცოტაა. დიდებული მეფე მოწყალე ღიმილით ებასებოდა ხოლმე იმ დროის გამოჩენილ ბანკირს—სამუელ ბერნარს, უბრალო ურთიას და ვერსალის ბაღში მასთან მხარ და მხარ დასვირნობდა. ვინ იცის რა ნეტარებას შეადგენდა კარის კაცებისათვის მეფის გაცინება, მისი მათდამი აღერსი, მაგრამ ლუდოვიკო იშვიათად აღირსებდა ხოლმე თავისს მახლობელთ ამ ღიმილს,—ხოლო უბრალო კაცს კი თავის მეფურ ღიმილს ფიანდახად უშლიდა. მერე რამ მოალობილა ასე დიდებული მეფე? უფულობამ, სიღარიბემ. ბანკირს ბევრი ფული ჰქონდა მოგროვილი, ხოლო სახელმწიფოს ხაზინა კი... ძვირათაც დაუჯდა ამ ბანკირს გვირგვინოსანის ღიმილი. ბერნარის რამდენიმე მილიონი სახელმწიფო კასაში გადახრალდა.

საფრანგეთს უბედურება უბედურებაზე ატყდებოდა, ხოლო პროტესტანტების განდევნამ ხომ სულ მთლად დასცა საფრანგეთის ინდუსტრია და დიდი ხანაც გავიდა, ვიდრე ქვეყანა წელში გასწორდებოდა. უღმობელო და შეუსაბამო გარდასახადებმა სული ამოხადა ხალხს, უუკიდურეს ვაჭირვებაში ჩააცდო ის ერი, რომლის მინისტრებიც უსიტცხილოთ ჰჯიბავდენ ხალხის ნაამაგდარს. რამდენიმე პროვინციაში ხალხი ქატო ნარვე პურსა სქამდა. დამშეულმა და გაღატაკებულმა ერმა დრტინვა დაიწყო. წარჩინებული კარის კაცი და თვით ქალბატონი დემენტონიცი კი იძულებული შეიქმნენ ქერის პურით ეკვებათ თავი. აი როგორ მდგომარეობიში ჩავარდა საფრანგეთი დიდებულ საუკუნის დასასრულს. მასსული ხდებოდა, ლატაკდებოდა და ფენელონთან ერთად არა ერთი და ორი მამულის შვილი ეკითხებოდა თავის თავს: ნეტა როდის დის და იმოდრავებს მოშლილი მანქანაო.

ლიტერატურას რაღა მოუვიდა? იგიც დაეცა, გათახსირდა. წინა საუკუნის დიდებული მწერლები გაჰქრენ, მემკვიდრე აღარ გამოუჩნდათ როდესაც, სიკვდილის წინ, ბუალობ კრებიონის ტრადედია მოსმინა, სასოწარკვეთილებით წამოიძახა: „პრიდონები მზესავით ბრწყინავენ ამ ხალხთან (ამ მწერლებთან) შედარებითაო“. ლიტერატურულ ფუქსავატობითა და სიღარიბით გულ დამწვარი ვოლტერი სწერს ერთ ადგილას: „ბუნება რომელმაც ოდესღაც დიდებული გენიოსები წარ-

\*) *Premiere partie p. 185.*

მოშობა თითქო დაიღალა და დასვენება სურსო“. არამც თუ შემცირდა დიდი ლიტერატურული ნაწარმოებნი და ლიდებულნი მწერლები დაკნინდნენ, არამედ თვით იდეებიც გამოიცვადნენ, ის იდეები, რომლებიც აღფრთოვანებენ ხალხმე მწერლებსა.

**წერილი რედაქციის მიმართ.**

მატივეცემულ რედაქტორს! უმარხილესათ ვთხოვთ ამ ხაწის წერილს თქვენ გასეთ «კვალის» უახლბებელს №-ში ალავი დაუთმით.

ამას წინეთ მე შეხვდა «კვალში» მთავრებული კარესზონდენცია გურიდან ბ. ს. ბერეჟიანის შესახებ. აწ გარდაცვალებულმა ს. ბერეჟიანმა ხასუხი გასცა ჩემს კარესზონდენციას, ხასუხი რამელსაც არავითარი სიმართლე და სბუთი არ ედვას სარხულათ. ეგველი მკითხველი ვინც კი გვიცნობს ჩვენ, იცნობს ბ. ბერეჟიანის ზიროვნებას და ჩუკვირდებოდა მისს ვითომდა გასმართლებულ წერილის შინაარსს, დაინახვდა, რომ ის უაღბსაფუძვლზე იყო ატუბული. რა კი ეს ასეთე იყო, ჩვენი მხრით ხასუხის გაცემაც არ იყო სსჭირად, მარა ჩვენ ასე არ მოექცეულვართ. რომ უფრო ნათლათ დაგვეხსნებინა მათვეცემულ მკითხველისათვის ბ. ს. ბერეჟიანის ვინაობა და მოღვაწეობა, ამისათვის ჩვენ დავწერეთ მის წერილის უოველი წინადადების და მასაზრების გამაყალბებელი ხასუხი და გამოუგზავნეთ. თქვენ რედაქციას დასაბეჭდათ. თქვენმა რედაქციამ იმ მასაზრებით, რომ „ს. ბერეჟიანი გარდაცვლილია და მის შესახებ ეხლა რისმეს თქმა კიდევ ზედმეტი იქნება“, აღარ დაბეჭდა ჩემი ხასუხი. მეც სხვა რედაქციისათვის მიმართვა მაინცა და მაინც სსჭირად აღარ დამინახვას და ამისათვის გაუუჩნდი, დროებით მაინც. დღეს ს. ბერეჟიანის ქვრიუსა და მის მძისწულს ვხედავთ, რომ ამ ჩვენი გაუჩნებით სიმამაცე მოუზოვებია და „ივერის“ ფურცლებზე დაბეჭდეს წერილი, რომლითაც ჯერ ლანდავს უწმარხი სიტყვებით თქვენ რედაქციას და შემდეგ სამედიცინო სამართალში იწვევს. მასაღადნელი იყო და სამართლიანი, რომ ბბ. ბერეჟიანებს ჩვენ გამოვეწვიეთ სამართალში, როგორც კარესზონდენტი, მაგრამ ეს არ ინებეს; ამისათვის მე თვითონ ვთხოვ ბერეჟიანის შემოვიდრეკეს. რომ გამბობდნენ ჩემთან სამედიცინო სამართალში. მედიცინაგებს წარუდგენ მე ჩემს კარესზონდენციას უოველი საბუთებით, ივინმა წარმოუდგინონ მათი უკვე დაბეჭდილი ხასუხი და განიხილონ უოველივე; მე ვკისრულაობ, მისი ხასუხის უოველი მასაზრების ფქტებით გაუალებს; თუ ამას ვერ ავასრულებ, იმ შემთხვევაში მე როგორც ღარიბი კაცი ვკისრულაობ მხრლათ ცნდა სუთი მანუთით ჯარიმის გადახდას. ამ ფულებს წარუდგენ დეკემბრის დაღუვამდე „კვალის“ რედაქციას და მიემატონ იმ თანხას, რომელიც მას მიღებული აქვს ევლახი და იათუფისიანი წიგნაკების გამოხსენებით. თუმც ბ. ბ. ბერეჟიანები, ამ ჩემს წინადადებას არ დასთანხმდებოან, მაშინ იძულებული ვიქნებით, რომ ის ხასუხი წერილი მაინც დაბეჭდეთ. ჩემ მოწინააღმდეგეებმა ისიც კარგათ უნდა იცოდენ, რომ რედაქციებს არა სცალიან ასეთ შემთხვევებში სსპოლემიკოთ და სამედიცინოთ და მით უმეტეს ამასთანავე ისიც უნდა მივიღოთ მხუდეგლობაში, რომ „კვალის“ რედაქციას აქ არავერი დანაშაულაობა არ მიუძღვის, კარდა იმისა, რომ ხასუხით სამართლიანი შენიშვნა მისცა ჩვენს ზიროვნადელ კარესზონდენციას. \*)

ბენია ჩხიკვიშვილი.

\*) რედაქცია არ არის იმის წინააღმდეგე, რომ თვით კარესზონდენტმა დაიცვას საქმე სამედიცინო სამართალში; ხოლო თუ ამის თანახმა არ იქნება ბ-ნი ბერეჟიანი იმ შემთხვევაში თვით რედაქცია იქნება ხასუხის მგებელი, როგორც ეს გამოცხადებული ვქონდა „კვალის“ № 34-ში.

**შვიდობის განცხადება.**

ბ. ი. გომარათელის წერილში „თ. ილია ჭავჭავაძე და მისი პოეზია“, უკანასკნელ სვეტის მეზიდვე სტრიქონში უნდა იწყებოთის შემოღობის სიტყვებით: „თუ ხშირათ ილ. ჭავჭავაძეს ბატონ-ყნობი მწიგნობრობის და მცველს უძახიან“ და სხვა.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .**

**აშთაინის სათავად-აზნაზრო სასწავლებელი** აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია 1 განყოფილებაში, რომელშიდაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიათარ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 აგვისტომდის. თხოვნასთან ერთათ წარმოდგენილ უნდა იქნეს წლოვანების, აზნაურიშვილობის და ყვაილის აცრის მოწმობები. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 31 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს.

**ფოთის საზუსხალტარო კურსები.**

**კ. გიგინეიშვილისა**

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაგზავნებათ უფასოთ.

**სასწავლებელი და პანსიონი.**

**ა. მამულაიშვილისა**

ვერა, სლოვკოვის ქუჩა, № 13. ზემმელის აფთიექის მხლობლათ.

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხვ.). იქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცთა (переэкзаменовки).

სოლოლაკში, სერგიევის ქუჩაზე, მირსოევის სახლებში № 1, გაიხსნა

**ახალი სსპამბა**

**ძმათა თავართქილაძეების,**

რომელიც დაიწყოს მოქმედებას აგვისტოს ზირველიდან, მიიღება საბეჭდავი საქმეები ყველა ენებზედ, სტამბა შემოკვეთილ საქმეებს ვსრულებს;

**სწრაფათ და თავის ღროზედ,**

ამ სტამბასთან იქნება უმთავრესი საწყობი საკუთარ გელოცებათა.

ვისაც ჩვენ ფირმასთან საქმე აქვს, ან ექნება, ვთხოვთ დღეიდან მოგვმართონ თფილისის ამ ადრესით: Тифлисть, бр. Таварткиладзе.